# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 5 ოქტომბერი 2006 №230 (2852) ფასი 50 თეთრი




კოკა ინასარიძე როსტოკიდან

# ყავა და ხაში

## ქართული რეჟიმი: თამაშს ვიწყებთ დილიდან, ჯაშუშს ვუშვებთ რომში



კოკა ინასარიძის ფოტო



## საქართველომ ირლანდია დაჩრდილა ეს აინ. ჰაინც!

# ПОЛЕ, РУССКОЕ ПОЛЕ

## 2008 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი ხელოვნური იქნება



სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში შეკრებილმა უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ 2008 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალს მოსკოვის „ლუჟნიკი" უმასპინძლებს, ხოლო 2009-ში — რომის „სტადიო ოლიმპიკო".

უეფას თასის ფინალი 2008 წელს „მანჩესტერ სიტის" სტადიონზე გაიმართება, ერთი წლის შემდეგ კი სტამბოლის „შუქრუ სარაჯოღლუზე".

„ლუჟნიკი" 1956-ში გაიხსნა და ახლა „ტორპედოს" საკუთრებაა. ესაა ყველაზე დიდი, 84 745-ათასიანი სტადიონი რუსეთში. 1999 წელს ამ სტადიონზე გაიმართა უეფას თასის ფინალი და „პარმამ" „მარსელს" მოუგო. 2002-ში კი იქ ხელოვნური საფარი დააგეს და უეფამ „გაზონი" მოიწონა.

რაც შეეხება უცნობილეს „სტადიო ოლიმპიკოს", 1950 წელს აშენდა და 40 წლის შემდეგ აქ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გფრ-მ არგენტინა დაამარცხა. გარდა ამისა, ჩემპიონთა თასის ფინალს სამჯერ — 1977, 1984 და 1996 წლებში უმასპინძლა.



SLOT POKER CLUB VEGA
საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ყავა და ტაქტიკა

## ინტერვიუ ქართველების მზვერავთან



„გერმანელი“ ქართველები: ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი



კოგა ინასარიძის ფოტო



კლაუს ტოპმიოლერი და მისი „თვალი“ პიტერ ზიგადი

კოგა ინასარიძის ფოტო



კოგა ინასარიძე როსტოკიდან

...საქართველოს ნაკრების მწვრთნელები კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე გუშინ, ნასადილევს სასტუმრო „ჰიუბნერში“ განმარტოვდნენ და დაახლოებით ორი საათი ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცისა და ნაკრების „მზვერავ“ პიტერ ზიგადის მეტი არავინ მიიკარეს. თუმცა თავიდან ტოპმიოლერი და მინგე ცალკე ისხდნენ, მწვრთნელი თანაშემწეს გამუდმებით ელაპარაკებოდა, თანაშემწე გამუდმებით რაღაცას ინიშნავდა, შიგადაშიგ კი ყავას მოსვამდნენ ხოლმე. სავარაუდოდ, ტოპმიოლერი და მინგე ნაკრების სადღეისო შემადგენლობაზე მსჯელობდნენ. დღეს კი ჩვენები ჩვენთვის ცოტა უცნაურ დროს, დილის თერთმეტის ნახევარზე როსტოკიდან 30 კილომეტრით დაშორებულ კიულუნგსბორნში მეორე ბუნდესლიგის „ჰანზას“ დაუპირისპირდებიან.

ტოპმიოლერი და მინგე თავიანთ საქმეს რომ მორჩნენ, მერე მათ მაგიდასთან ჯერ ახალკაცი მივიდა, შემდეგ ზიგადი...

7 ოქტომბერს იტალია — უკრაინის მატჩს უნდა დავესწრო და ახლა საორგანიზაციო საკითხები მოვაგვარეთ — გვითხრა *პიტერ ზიგადმა* — ჩემი საქმე საქართველოს ნაკრების მეტოქეების დაზვერვააა, იტალიაშიც ამიტომ მივემგზავრები.

— ტოპმიოლერი ალბათ კონკრეტულ მითითებებს მოგცემდათ. იტალიის თამაშში მწვრთნელს ყველაზე მეტად რა აინტერესებს?

— ტოპმიოლერს მეტოქის შესახებ ყველაფერი აინტერესებს, ყველა დეტალს ყურადღებას აქცევს. იტალია — უკრაინასთან პირველყოვლისა ფლანგელ მცველებს დავაკვირდები, ისინი შეტევაში ძალიან კარგად ერთვებიან, მაგრამ დაცვაში ნაკლიც აქვთ და სწორედ ეს გვაინტერესებს... თუმცა, ცხადია, იტალიაში მხოლოდ ამისთვის არ მივდივარ, „სკუადრა აძურა“ ჩვენი მეტოქეა და ტოპმიოლერს სხვა ინფორმაციაც უნდა მივაწოდო.

— დიდი ხანია, ტოპმიოლერს იცნობთ?

— 15 წელია...

პიტერ ზიგადთან ვრცელი ინტერვიუ მერე იყოს, მან კიდევ ბევრი საინტერესო გვითხრა, საქართველო უკრაინისა და რუსეთის ტოლიაო და ასე შემდეგ...

საქართველოს ნაკრებმა როსტოკის გარეუბანში გუშინ ორჯერ ივარჯიშა. დილით, როცა ყველა ფეხბურთელი მეკარე ნუკრი რევიშვილის გარდა აქ იყო, მწვრთნელმა შეგირდები საათნახევარი ავარჯიშა, საღამოს კი — დაახლოებით ორი საათი, რაც ნაირ-ნაირი ტაქტიკური მონახაზის უკეთ შესწავლასა და სტანდარტული მდგომარეობების ეფექტურად გამოყენებას დაეთმო.

„ჰანზასთან“ მატჩში ჩვენების შემადგენლობაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, თუმცა კლაუს ტოპმიოლერს სურს, რომ დღეს რამდენიმე ნაცადის გარდა ყველა ათამაშოს და მათი შესაძლებლობები ერთხელაც შეაფასოს. კალაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი და დემეტრაძე კი დღეს ალბათ არ ითამაშებენ, თუმცა ივარჯიშებენ — საქართველოს ნაკრებს „ჰანზასთან“ მატჩის შემდეგ, სამის ნახევარზე მორიგი ვარჯიში აქვს, საღამოს კი ბალტიის ანუ, როგორც აქ უწოდებენ, აღმოსავლეთის ზღვაზე გემით სეირნობაა დაგეგმილი.

მწვრთნელს ძალიან აწუხებს ცენტრფორვარდის საკითხი. მოგეხსენებათ, შოთა არველაძეს მუხლი აქვს შეშუპებული და რამდენიმე დღეა, არ უვარჯიშია. შოთა დღეს ჰოლანდიაში ექიმს უნდა გაესინჯოს და როდის შეეძლება ვარჯიშის განახლება, მისგან შეიტყობს. ჩვენ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ გვითხრა, რომ შოთას მუხლი შედარებით დაუცხრა და თუ ხვალ-ზეგ ვარჯიში შეძლო, იტალიასთან მატჩისთვის თბილისში იქნებაო. რაც შეეხება დავით მუჯირს, მას არც გუშინწინ უვარჯიშია, არც გუშინ და საუკეთესო შემთხვევაში პარასკევს თუ იძუნძულებს. გერმანიასთან ვერც ის ითამაშებს, მაგრამ იქნებ საიტალიოდ მომჯობინდესო, იმედოვნებს ნაკრების მედპერსონალი.

...საქართველოს ნაკრების და „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი *ალექსანდრე იაშვილი* გერმანელებისთვის საკმაოდ ნაცნობი ფეხბურთელია და ჩვენც მცირე კომენტარი მას ვთხოვეთ: „ამ ორ კვირაში გერმანელმა ჟურნალისტებმა, რომ იტყვიან, ამიკლეს. თითქმის ყველაფერი აინტერესებთ. საერთოდ, აქ ნაკრების თამაშისას ყოველთვის დიდი აჟიოტაჟია. მნიშვნელობა არ აქვს, ეს თამაში ამხანაგური იქნება თუ ოფიციალური. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ისეთ საფეხბურთო ქვეყანას, როგორიც გერმანიაა, ღირსეულად ვეთამაშებით...

...როსტოკში რამდენჯერმე მითამაშია და სტადიონი არასდროს გავსებულა. ახლა კი „ოსტსეეშტადიონზე“ ნაკრებები თამაშობენ და ალბათ ანშლაგი იქნება.“

ამასობაში ჩვენების შაბათის მეტოქე გერმანიის ნაკრები გუშინ ბერლინის ბაზაზე შეიკრიბა. მწვრთნელ იოახიმ ლიოვის განკარგულებაში თითქმის ყველა ის ფეხბურთელია, ვისაც მან ჯერ საქართველოსთან, შემდეგ კი სლოვაკეთთან ოფიციალური მატჩებისთვის უხმო.

გუშინ მიროსლავ კლოზემ, ტორსტენ ფრინგსმა და ფილიპ ლამმა გუნდისგან ცალკე ივარჯიშეს, მათ აქამდე ზედიზედ რამდენიმე საკმაოდ მძიმე მატჩი ითამაშეს და მწვრთნელს ისინი არც შეკრების პირველ დღეს დაუტვირთავს.

„საქართველოსთან მატჩი საინტერესო იქნება, ფეხბურთელებზე დაკვირვების საშუალება მექნება, თანაც საქართველო საკმაოდ ტექნიკური გუნდია, თუმცა მთავარი ბრატისლავაში ოფიციალური მატჩია. იმ შეხვედრის ოპტიმალური შემადგენლობის დადგენაში კი საქართველოსთან მატჩიც გამოგვადგება“ — უთხრა იოახიმ ლიოვმა „როსტოკერ ცაიტუნგის“ ჟურნალისტს და იქვე ლუკაშ პოდოლსკისაც გაჰკრა კბილი — თუ „ბაიერნში“ რეგულარულად ვერ ითამაშებს, ნაკრებში თამაში გაუჭირდება და ეგებ მის მიღმაც დარჩესო.

გერმანულმა ტელეკომპანია ZDF-მა კი თავისი მოძრავი სატელევიზო სადგურები უკვე ჩვენი ნაკრების ახლო-მახლო ჩაამწკრივა. ტელეკომპანია იქვე, სადაც საქართველოს ნაკრებია დაბინავებული, ვარნემუნდეში, ზღვის სანაპიროზე აპირებს დიდი ეკრანის დამონტაჟებას და გერმანია — საქართველოს მატჩის ჩვენებას. იქვე, შუქურასთან საგანგებო სტუდია მოეწყობა და სპეციალისტები შაბათის მატჩს გააანალიზებენ.

### ინგლისი

კონფერენსლიგა
XIII ტური

ვეიმუთი 2:1 გრეივსენდი

### შვეიცარია

სუპერლიგა
X ტური

სიონი 2:2 გრასჰოპერი
ციურიხი 2:1 ლუცერნი

### სლოვაკეთი

პირველი ლიგა
XIV ტური

ინტერი 2:0 ბანსკა ბისტრიცა
არტმედია 2:1 დუბნიცა
სენეცი 2:0 სლოვანი
ტრენჩინი 0:2 რუჟომბეროკი

### ამხანაგური მატჩები

ეგვიპტე 7:0 ლიბანი
იაპონია 0:1 განა

### ესპანეთი

თასის III ეტაპი

პენა სპორტი 2:0 ალკოიანო
ბადალონა 0:0(1:1დ.დ. 7:6პენ) უნივერსიდადი
ბურგოსი 1:1(2:2დ.დ. 5:6პენ) სეგოვიანა
კასტელიონი 1:0 კადისი
ელჩე 0:1 ვალიადოლიდი
პოლი ეხიდო 1:1(4:5პენ) ალავესი
რაიო ვალეკანო 0:0(5:4პენ) პუერტოლანო
ალმერია 0:0(4:5პენ) მალაგა
ესიხა 0:0(5:4პენ) ეიბარი
პორტუენსე 0:0(1:0დ.დ.) ლინარესი
ერკულესი 2:0 ლას პალმასი

### პოლონეთი

თასის 1/16 ფინალი

სვიტი 1:5 ვისლა

### დანია

სუპერლიგა
XI ტური

მიდტიულანდი 2:2 ნორდსიელანდი

ეროვნული ბიბლიოთეკა






# გერმანია კედლამდე და მერე

**7 ოქტომბერს** მსოფლიოს მესამე გუნდი, გერმანიის ეროვნული ნაკრები როსტოკში ამხანაგურ თამაშს გამართავს — „ოსტსეეშტადიონის" სტუმარი კლაუს ტოპმიოლერისა და რალფ მინგეს საქართველოს ნაკრები იქნება. საინტერესოა, რომ ამ დღეს როსტოკი გერმანიის გაერთიანების შემდეგ მეორედ იქნება საკუთარი ქვეყნის ნაკრების მასპინძელი. მანამდე კი, დღეს, ოღონდ არაოფიციალურ ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრები მეორებუნდესლიგელ როსტოკის „ჰანზას" გაეჯიბრება.

მოდით, გადავხედოთ როსტოკის საფეხბურთო ისტორიას. კედლამდე და მის შემდეგ...

სანამ „ოსტსეეშტადიონზე" ობერლიგის თამაშები გაიმართებოდა, იქ უკვე საერთაშორისო მატჩები იყო ჩატარებული — 1954 წლის 26 სექტემბერს გდრ-მ პოლონეთს უმასპინძლა. 30 000 ათასი გულშემატკივარი საკუთარი გუნდის პირველ გამარჯვებას იმედოვნებდა, მაგრამ 22 წუთში პოლონელებმა მათ ყოველგვარი შანსი მოუსპეს.

გდრ-ის სასტარტო თერთმეტეული ასეთი იყო: შპიკენაგელი (ლაიპციგი) ბუშნერი (იენა), ვისმუთი (ერფურტი), ი. მიულერი (ერფურტი), მაინჰოლდი (ცვიკაუ), შრიოტერი (დინამო ბერლინი), კაიზერი (ცვიკაუ), შნიკე (იენა), მატცენე (დინამო ბერლინი).

ამას მოჰყვა გდრ-ის ნაკრების ზედიზედ შვიდი წაუგებელი თამაში — 4 მოგება და 3 ფრე.

და მორჩა. მას შემდეგ როსტოკში ეროვნულ ნაკრებს არ უთამაშია, რადგან „ოსტსეეშტადიონს" ლაიპციგის ცენტრალურმა სტადიონი (ტევადობა 100 000) და ბერლინის მსოფლიო ახალგაზრდობის სტადიონმა (60 000) სერიოზული კონკურენცია გაუწია.

დაბრუნება 2002 წელს შედგა: გაერთიანებული გერმანიის ნაკრებმა 27 მარტს 30 000 მაყურებლის თვალწინ აშშ-ს 4:2 მოუგო — ეს იყო კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი მატჩი. ამით როსტოკმა საფეხბურთო რუკაზე ის თეთრი ლაქა საბოლოოდ გაფანტა, რომელიც აღმოსავლეთ გერმანიაში არსებობდა.

კედლისშემდგომი გერმანიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე „აღმოსავლელი" მოთამაშე გამოჩნდა: ფრანკ როსტი (ლაიპციგი), იორგ ბიომე (იენა), იორგ ჰაინრიხი (ველტენი), იენს იერემისი (დრეზდენი), ბერნდ შნაიდერი (იენა), მარკო რემერი (როსტოკი), კარსტენ იანკერი (როსტოკი) და თვით მიხაელ ბალაკი (ქემნიცი).

როსტოკელი ფანების უსაყვარლესმა მოთამაშემ ოლივერ ნოივილმა კი ზუსტად აქ, „ოსტსეეშტადიონზე" აითვისა საფეხბურთო ანბანი და აქედანვე მოხვდა გერმანიის ნაკრების მწვრთნელის ბლოკნოტში.

**ნინო სილაგაძე**

### გდრ-ის ნაკრები როსტოკში

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 სექტემბერი | 1954 | პოლონეთი 0:1 | 30 000 |
| 29 ივნისი | 1958 | პოლონეთი 1:1 | 20 000 |
| 30 ოქტომბერი | 1960 | ფინეთი 5:1 | 30 000 |
| 9 ივნისი | 1969 | ეგვიპტე 7:0 | 8 000 |
| 6 სექტემბერი | 1970 | პოლონეთი 5:0 | 15 000 |
| 31 მაისი | 1972 | ურუგვაი 0:0 | 15 000 |
| 23 მაისი | 1974 | ნორვეგია 1:0 | 15 000 |
| 5 მაისი | 1980 | სსრკ 2:2 | 20 000 |

### გერმანიის ნაკრები როსტოკში

| | | | |
|---|---|---|---|
| 27 მარტი | 2002 | აშშ 4:2 | 30 000 |

*გერმანია: როსტი (ბუტი 46), ბაუმ[illegible]ი, რამელო, ლინკე, შნაიდერი (ასამოა 75), ჰამანი, ფრინგსი, [illegible]რემისი (ჰაინრიხი 69), ციგე (ბიომე 61), ნოივილი (ბრდარიჩი 80), ბირჰოფი*
*მწვრთნელი: რუდი ფიოლერი*

| | | |
|---|---|---|
| 7 ოქტომბერი | 2006 | საქართველო |



## ნოუ-ვილი
### ლიოვმა არ გარისკა

**ბუნდესმწვრთნელმა** იოახიმ ლიოვმა საქართველოსთან მატჩში ოლივერ ნოივილის დასვენება გადაწყვიტა. „მიონხენგლადბახის" თავდამხმელს ქუსლის ტრავმა აწუხებს და 11 ოქტომბრისთვის, ბრატისლავაში სლოვაკეთის წინააღმდეგ თამაშისთვის უნდა მოემზადოსო, განმარტა ლიოვმა.

„ნოივილი სპორტულ დარბაზში იმუშავებს და ალბათ შაბათს ან კვირას შეძლებს სრული დატვირთვით ვარჯიშს" — თქვა ბუნდესმწვრთნელმა.

იოახიმ ლიოვი ერთხელაც შეეხო ჩვენი გუნდის წინააღმდეგ თამაშს და განაცხადა, რომ ის თავს ექსპერიმენტების უფლებას აძლევს.

**ნინო სილაგაძე**

## ქართველებისთვის ტკბილი ასტრა

**საქართველო 1:0 ჩრდ. ირლანდია**

1:0 ბენაშვილი (40)
*გარეტმა ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)*
**საქართველო:** თევდორაძე, თომაშვილი, ელბაქიძე, გვაძაბია (ხიდეშელი 89), განუგრავა, კვასხვაძე (თოთაძე 83), ბუალავა, მჭედლიშვილი, გოცირიძე, წინამძღვრიშვილი (ვ. კვარაცხელია 78), ბენაშვილი
სათადარიგონი: კაკალაძე; წულაძე, ჩარგეიშვილი, მაილაშვილი
მწვრთნელი: ჰაინც ტოპმიოლერი
**ჩრდ. ირლანდია:** კარსონი, კესმენტი, მულანი, გიბი, ფლინი, გარეტი, უეირი, ალენი (გრინი 60), კერვინი (მაკალისტერი 60), ლითლი, ჰარპერი
სათადარიგონი: მაკგი; ჰენდერსენი, დონელი, გალაჰერი
მწვრთნელი: მელ დონაჰიუ
გაფრთხილება: თევდორაძე, განუგრავა, კვასხვაძე, ბუალავა, წინამძღვრიშვილი, თოთაძე
მსაჯი: მ. სტრაჰონია (ხორვატია)

**დამატებული** მე-6 წუთი იყო პლოეშტის „ასტრაზე", როცა მსაჯმა ქართველთა საჯარიმოში შექმნილი არეულობისას გიორგი ელბაქიძის ხელით თამაში დაინახა და პენალტით დაასაჩუქრა ჩრდილოირლანდიელები — საბედნიეროდ, რევაზ თევდორაძემ გარეტის დარტყმა მოიგერია და მოვიგეთ!

ასეც უნდა ყოფილიყო: ჰაინც ტოპმიოლერის ბიჭები უფრო ყოჩაღად თამაშობდნენ, მარტო პირველ ტაიმში გიორგი განუგრავას, რატი წინამძღვრიშვილსა და ბექა გოცირიძეს გაუცუდდათ მომენტები. მომწიფებული გოლი კი მე-40 წუთზე გავიდა: ბრიტანელები წინამძღვრიშვილს ეუხეშნენ და „ზესტაფონის" ნახევარმცველმა ალექსი ბენაშვილმა საჯარიმოთი გაიტანა — 1:0.

მეორე ნახევარიც ქართველებისა იყო და მხოლოდ ბოლო წუთებზე გაათანაბრეს ჩრდილოირლანდიელებმა თამაში.

89-ე წუთზე ვახტანგ კვარაცხელია მეკარესთან პირისპირ გასვლისას შეყოვნდა და მცველებს მომენტის განმუხტვის საშუალება მისცა. მერე კი იყო პენალტი, რომელიც გარეტმა „საჩვენოდ" დაარტყა და თევდორაძეც ყოჩაღად გაისარჯა...

*ჰაინც ტოპმიოლერი:* ჯგუფიდან ორი გუნდი გადის და ტურნირის სამი ქულით დაწყება შესანიშნავი შედეგია. ძალიან დაძაბული შეხვედრა მოვიგეთ და ვეცდებით, ელიტ-რაუნდში გასვლა მომდევნო მატჩშივე გავინაღდოთ. რუმინელებთან მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ. ვფიქრობ, მსაჯი რამდენჯერმე აჩქარდა, ექვსი ყვითელი ბარათი ჩემი გუნდისთვის ნამეტანი იყო. საერთო ჯამში, ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ.

**რუმინეთი 4:2 ბელგია**

1:0 განეა (22), 2:0 პოჟოჩნეანი (27), 2:1 ჰოლეტი (33), ვილანო (42პ), 3:2 რუსესკუ (48), 4:2 განეა (90პ)




## გიორგი ჭელიძემ უმტკივნეულოდ წაივარჯიშა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელმა გიორგი ჭელიძემ ვარჯიში განაახლა. საფრანგეთიდან რუსეთში დაბრუნებული ჩვენიანი თავს უკეთ გრძნობს და ვარჯიშისას ფეხი აღარ აწუხებს. თუ აღდგენითმა პროცესმა წარმატებით ჩაიარა, დიდი შანსია, ჭელიძემ წლეულს თამაშიც მოასწროს.

რკინიგზელთა მეორე ქართველი მალხაზ ას ათიანი კი ისევ უქმადაა — ცესკასთან მატჩში მძიმედ დაშავებულ ასათიანს მუხლი დაუცხრა და რამდენიმე დღეში გერმანიაში გაფრინდება კიდევ ერთი სამედიცინო გამოკვლევის ჩასატარებლად.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ფედერაციის ნოვაციას პატრული და კრიმინალური პოლიცია დაიცავენ



სფფ-ის პრესსამსახური

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ პრესკონფერენცია გამართა, რომლის თემაც 11 ოქტომბერს ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის საქართველო — იტალიის მატჩის საორგანიზაციო საკითხები იყო. უგულავამ ჯერ საშესავლო სიტყვა თქვა და მერე ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა...

— ბილეთების გაყიდვასთან დაკავშირებით გავითვალისწინეთ ის ხარვეზები, რაც 2 სექტემბერს საფრანგეთის მატჩის წინ იყო და გადავწყვიტეთ, ბილეთები მხოლოდ ერთ ადგილას, რიყეზე გაიყიდოს. სალაროებს ღობურებიც ექნება, რათა რიგი დაცული იყოს. თამაშის დღეს ბილეთები 12-დან 16 საათამდე გაიყიდება. 7-ლარიანი ბილეთები 10 ათასია, 15-ლარიანი 15 ათასი, 30-ლარიანი 13 ათასი და 50-ლარიანი 4 ათასი. სალაროებთან დამონტაჟდება სპეციალური ბანერი, რომელზეც ეროვნული სტადიონის სქემა იქნება გამოსახული — რომელ ადგილზე რა ღირს ბილეთი. სალაროებზეც მითითებული იქნება, რომელ სალაროში რა ფასიანი ბილეთები გაიყიდება. იმედი გვაქვს, ჩვენი ასეთი ნოვაცია გაამართლებს.

**— რიყეზე კონკრეტულად სად გაიყიდება ბილეთები?**

— რიყეზე საამისოდ ხვალიდან დაიდგმება ჯიხურები.

**— 2 სექტემბრის საფრანგეთთან მატჩის წინ ერთ-ერთი სალაროდან თანხა გაიტაცეს...**

— რიყეზე განლაგებულ სალაროებს დაიცავენ დაცვის კერძო სამსახური, პატრული და კრიმინალური პოლიცია.

**— რამდენკაციანი იქნება იტალიური დელეგაცია?**

— ამ ინფორმაციას იტალიელები ხვალ მოგვაწვდიან.

**— რატომ გადაწყვიტეთ ბილეთების მხოლოდ რიყეზე გაყიდვა?**

— თავიდან იყო ლაპარაკი, რომ ბილეთები ეროვნული და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონების და სპორტის სასახლის სალაროებში გაყიდულიყო, მაგრამ მერე სხვა გადაწყვეტილება მივიღეთ, რადგან, წარმოიდგინეთ, რომ ქომაგმა ვერ შეიძინა მისთვის სასურველი ბილეთი, მაგალითად, ეროვნულ სტადიონის სალაროში და მერე ის სხვაგან უნდა წავიდეს სასურველი ბილეთის შესაძენად. ამიტომ ჯობია, რომ ბილეთები ერთ ადგილას გაიყიდოს, თანაც რიყეზე 24 სალარო იმუშავებს, ეროვნულ სტადიონზე კი მხოლოდ რვა სალაროს ამუშავება იყო შესაძლებელი.

**— რიყეზე გასაყიდ ატრიბუტიკაში ეროვნული ნაკრების მუდმივნომრიანი და გვარწაწერილი მაისურებიც გაიყიდება?**

— არა, ასეთი მაისურები იმ ორ მაღაზიაში გაიყიდება, რომლის გახსნასაც სამომავლოდ ვგეგმავთ. რიყეზე ნაკრების ჩვეულებრივი მაისურა 10-15 ლარი ეღირება, ორიგინალი კი 90 ლარამდე.

**— საფრანგეთთან მატჩის წინ „მიხეილ მესხის" სალაროდან თანხის გამტაცებლები თუ დააკავეს?**

— სამწუხაროდ, ისინი ჯერ ვერ იპოვეს, მათ 16 000 ლარამდე გაიტაცეს.

**— რამდენი ქვეყანა გადასცემს ტელევიზიით 11 ოქტომბრის საქართველო — იტალიას?**

— ამ მატჩისადმი ინტერესი დიდია და ამიტომაც იწყება ეს შეხვედრა 22 საათზე. თამაშს ცხრა ევროპული ქვეყანა გადასცემს და ვფიქრობ, ტელეტრანსლაციის მსურველი ქვეყნების რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

**დავით თავართქილაძე**

# ახალი ამბავი ბილეთებზე: რიყეზე, მხოლოდ რიყეზე!

საქართველო — იტალიის მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაიწყება 6 ოქტომბერს 12 საათზე რიყეზე და დამთავრდება 11 ოქტომბერს 16 საათზე.

**მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება მხოლოდ რიყეზე.**

ბილეთების ფასებია: 7, 15, 30 და 50 ლარი.

სალაროები ყოველდღიურად იმუშავებს 12 საათიდან 17 საათამდე.

სულ იმუშავებს 24 სალარო, რომლებშიც ბილეთები სექტორებისა და შესაბამისი ფასების მიხედვით გაიყიდება.

სალაროებზე მითითებული იქნება, სად რომელი სექტორის ბილეთები იყიდება.

თითო სალაროში გაიყიდება მხოლოდ ერთი ფასის ბილეთები.

**თითოეულ გულშემატკივარს შეეძლება მაქსიმუმ 10 ბილეთის შეძენა.**

ბილეთები არ იჯავშნება (ამ პრივილეგიით მხოლოდ ფანკლუბის წევრებმა ისარგებლეს).

**ბავშვები უბილეთოდ არ დაიშვებიან.**

მანქანები მხოლოდ საგანგებო საშვით დაიშვებიან ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე.

მატჩის დღეს, 11 ოქტომბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ყველა ჭიშკარი და შიდა კარი გაიხსნება მატჩის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე, 18 საათზე.

6-10 ოქტომბერს რიყეზე, ხოლო 11 ოქტომბერს სტადიონის ტერიტორიაზე განთავსდება სპეციალური დახლები, სადაც გაიყიდება სხვადასხვა ატრიბუტიკა გულშემატკივართათვის: ეროვნული ნაკრების მაისურები, დიდი ქუდები, კეპები, დროშები, დასარტყმელი ბუშტები, პლაკატები, სტიკერები, კალენდრები, ჭიქები, გასაღების საკიდები, მატჩის ოფიციალური პროგრამა.

*სფფ-ის პრესცენტრი*

### 7 ლარიანი

ჩრდილოეთ ტრიბუნა: იარუსი 1, სექტორი 9, 10, 11
ჩრდილოეთ ტრიბუნა: იარუსი 2, სექტორი 15, 17
სამხრეთ ტრიბუნა: იარუსი 1, სექტორი 1, 2, 17 18
სამხრეთ ტრიბუნა: იარუსი 2, სექტორი 1, 2, 30

### 15 ლარიანი

სამხრეთ ტრიბუნა: იარუსი 2, სექტორი 3, 28, 29
ჩრდილოეთ ტრიბუნა: იარუსი 2, სექტორი 13, 14, 18, 19
დასავლეთ ტრიბუნა: იარუსი 2, სექტორი 5 (რიგი 26-35), 6 (რიგი 26-35), 11 (რიგი 26-35), 12 (რიგი 26-35)
აღმოსავლეთ ტრიბუნა: იარუსი 2, სექტორი 20 (რიგი 26-35), 21 (26-35), 22 (რიგი 26-36), 23 (რიგი 26-35), 24 (რიგი 26-35), 25 (რიგი 26-35), 26 (რიგი 26-35), 27 (რიგი 26-35)

### 30 ლარიანი

დასავლეთ ტრიბუნა: იარუსი 2, სექტორი 5 (რიგი 1-25), 11 (რიგი 1-25), 12 (რიგი 1-25), 7 (რიგი 26-35), 8 (რიგი 26-35), 9 (რიგი 26-35), 10 (რიგი 26-35)
აღმოსავლეთ ტრიბუნა: იარუსი 2, სექტორი 20 (რიგი 1-25), 21 (რიგი 1-25), 22 (რიგი 1-25), 23 (რიგი 1-25), 24 (რიგი 1-25), 25 (რიგი 1-25), 26 (რიგი 1-25), 27 (რიგი 1-25)

### 50 ლარიანი

დასავლეთ ტრიბუნა: იარუსი 2, სექტორი 7 (რიგი 1-25), 9 (რიგი 1-25), 10 (რიგი 1-25)
აღმოსავლეთ ტრიბუნა: იარუსი 1, სექტორი 14



# ცანკერი სტუმრებს მოგებებით ეგებება



სფფ-ის პრესსამსახური

გერმანია, რუსეთი, მაკედონია — შეხსენება არ გინდათ, რომ ესენი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები არიან ევროშესარჩევი ციკლის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე. ჯგუფის თამაშები საქართველოში გაიმართება 13-18 ოქტომბერს...

13 ოქტომბერი

**ბოლნისი. „თამაზ სტეფანია". 12 საათი**

**გერმანია — მაკედონია**

**თბილისი. „მიხეილ მესხი". 15 საათი**

**საქართველო — რუსეთი**

15 ოქტომბერი

**თბილისი. „მიხეილ მესხი". 12 საათი**

**რუსეთი — მაკედონია**

**თბილისი. „ეროვნული". 15 საათი**

**საქართველო — გერმანია**

18 ოქტომბერი

**თბილისი. „მიხეილ მესხი". 15 საათი**

**გერმანია — რუსეთი**

**თბილისი. „ამერი". 15 საათი**

**საქართველო — მაკედონია**

როგორც ხედავთ, ტურნირის გახსნის მატჩი ბოლნისშია დანიშნული და კარგია, რომ ამ მხრივ გეოგრაფია გაიზარდა. საინტერესოა, რომ ჰერბერტ ცანკერის გაწვრთნილი ქართველები სამივე მატჩს სხვადასხვა სტადიონზე ჩაატარებენ.

გუშინ კი ისინი ამხანაგურ მატჩში „ამერის" ჭაბუკთა გუნდს შეხვდნენ და 3:1 მოუგეს. „შევარდენზე" გამართულ შეხვედრაში ანგარიში 17-წლამდელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ყენიამ 29-ე წუთზე გახსნა.

ამერელებმა 47-ე წუთზე გაათანაბრეს — გიორგი გრძელიძემ კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი შეაგება.

ჰერბერტ ცანკერის ბიჭებმა ბოლო 10 წუთში შეძლეს გამარჯვება — მე-80 წუთზე ბესიკ კვარაცხელიამ გიორგი ჯოხაძის პასით იხეირა, 89-ეზე კი მიხეილ ხოკერაშვილმა მეკარესთან პირისპირ გასვლა გამოიყენა.

ცანკერმა ასეთი შემადგენლობა ათამაშა: მაკარიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ბუკია, კალანდია, თარხნიშვილი, ხოკერაშვილი, ყენია (ბეგლარიშვილი 46), სალარიძე (მამუჩიშვილი 46), შონია (ბეროშვილი 70), ჯოხაძე (კვარაცხელია).

სორდია, ბერიძე და დგებუაძე სათადარიგონი იყვნენ.

დღეს ჩვენი 17-წლამდელები თბილისის „ოლიმპს" გაეჯიბრებიან.

## ჩვენი მეტოქეების სათბილისო განაცხადები

### გერმანია

***მეკარეები:*** *ფაბიან გიფერი (1990), რენე ვოლატი (1990);*

***მცველები:*** *კაი ბასტიან ევერსი (1990), ფაბიან გიოტცი (1990), ვიქტორ მაიერი (1990), მარვინ პაშანი (1990), ტობენ შტადლერი (1990), ნილს ტეიშეირა (1990);*

***ნახევარმცველები:*** *საშა ბიგალკე (1990), პატრიკ ფუნკი (1990), ტონი კროოსი (1990), კონსტანტინ რაუში (1990), კევინ ვოლცე (1990);*

***თავდამსხმელები:*** *დენის დოვიდატი (1990), მარვინ კნოლი (1990), ჰენინგ საუერბიერი (1990), ერიკ ტაპისიერი (1990), მარკუს უნტში (1990).*

*მწვრთნელი: პაულ შომანი*

### მაკედონია

*ანტონიო ივანოვიკი (1990), ამირ იასარი (1991), ალექსანდრ ველიანოვსკი (1991), სტეფან ანგელევსკი (1990), კირე რისტევსკი (1990), ბლაგოია გალოვიკი (1990), კოსტა პოპ-ზაფიროვი (1990), ბორიან სტოიანოვსკი (1990), ერმედინ ადემი (1990), სტეფან სპიროვსკი (1990), ალექსანდრ ზაფიროვსკი (1990), ერქან კურტი (1990), ემირ საბანი (1990), დრაგან გეორგიევი (1990), ივო ტრიფუნოვსკი (1990), დეიან ცვეტანოვსკი (1990), დარკო სტოიანოვი (1990), ივან ცვეტანოვი (1990), ალექსანდრ იეფტიმოვი (1991), ასტრიტ აიეტი (1990)*

*მწვრთნელი: ზლატკო ცვეტანოვსკი*

### რუსეთი

*იური ვორობიოვი (1990), ანდრეი ვაცილჩენკოვი (1990), მაქსიმ გრიგორევი (1990), კირილ ჩეკმარიოვი (1990), დენის ვოინოვი (1990), ფიოდორ სმოლოვი (1990), რუსლან პერეპელიუკოვი (1990), სტანისლავ მანევი (1990), ალექსანდრ პეტროვი (1990), სერგეი შუმილინი (1990), ალან ძაგოევი (1990), ალექსანდრ კოჟევნიკოვი (1990), არტიომ დელკინი (1990), არტიომ ლუნკოვი (1990), ვიაჩესლავ დმიტრიევი (1990), ალექსანდრ კუდრიავცევი (1990), ტარას ბურლაკი (1990), ილია მაკინკინი (1990), არტიომ სპოჟკოვი (1990), რუსლან კამბოლოვი (1990), ევგენი კობოზევი (1990)*

*მწვრთნელი: ანდრეი ტალალაევი*

ზედიზედ რომ მოგაწვება ტკივილი და უიღბლობა, ასეა ბოლო დროს გოგა გახოკიძის საქმე. რამდენიმე თვეა, ჰოლანდიური „ტვენტეს" ქართველ ნახევარმცველს ზედიზედ ორი თამაშიც არ ჩაუტარებია — ტრავმები უმიზეზდება და ახლაც ექიმების ხელშია

# გახოკიძე... ისევ ტრავმა...



„წინა ტურის მატჩამდე სულელურად დაშავდი ვარჯიშზე. ქვედა კუნთი გამეჭიმა და ჰემატომააო, მითხრეს. მგონი, დათარსული ვარ. ათი დღე კიდევ გამიცდება და წესით, ორ კვირაში თამაშსაც შევძლებ" — გვითხრა გოგამ.

ქართველ მარხენაფლანგელს ორიოდ კვირის წინაც ვესაუბრეთ და მაშინ იგი მწვრთნელზე იყო ნაწყენი, ფარერებთან სათამაშოდ ნაკრებში რომ წავედი, ცხვირი აიბზუა, კლუბი უნდა დააყენო პირველ ადგილზეო. ისიც თქვა, „ტვენტედან" წასვლას ვაპირებ და კარგი იქნება, თუ ზამთარშივე მოვახერხებო.

„აქ გაჩერება ძნელია. წარმოიდგინეთ, ექიმები ისეთი სუსტები არიან, უბრალო დიაგნოზს ვერ სვამენ. მარტო მე კი არა, სხვა ფეხბურთელებიც გაწამებულები ჰყავთ. მწვრთნელი ფრედ რუტუნიც რალაცნაირი ბოლმიანია, რა უხარია და რა სწყინს, ვერ გაუგებ. პსვდანაა მოსული და თავი კაპელო ჰგონია. უნდა, რომ ყველა ფეხბურთელი რობოტად აქციოს. რამდენ მწვრთნელთან მიმუშავია, მაგრამ ასეთი ურთიერთობა არავისთან მქონია — მასთან ლაპარაკს აზრიც არ აქვს."

ბოლოს გახოკიძემ საქართველოს ნაკრების მდგომარეობაზეც დაიჩივლა, უმძიმეს დღეშია ტოპმიოლერი, თან იტალია გამგელებული ჩამოვა თბილისში და ნაკრები საკუთარ თავს თუ გადაახტება, თორემ შედეგის მიღწევა ძალიან ძნელი იქნებაო...

**ილია ნანოგაშვილი**

# სამი კვირკველია: ლიდერი, საუკეთესო და სიმბოლური



**დავით კვირკველიამ და ირაკლი მოდებაძემ ბევრი კომპლიმენტი მიიღეს**

**უკრაინის** ჩემპიონატის მეცხრე ტურში ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" პირველი საამსეზონო გამარჯვება იზეიმა — ზაპოროჟიელები 0:1 აგებდნენ „ილიჩევეცთან" და დავით კვირკველიას დუბლით შეძლეს თამაშის შემობრუნება.

სხვათა შორის, ზოგი უკრაინული გამოცემა ირწმუნება, პირველი ბურთი „ილიჩევეცს" ირაკლი მოდებაძემ გაუტანაო. ის კი ფაქტია, რომ მეორე გოლისას, რომელიც „ნალდად" კვირკველიამ შეაგდო, პენალტი სწორედ მოდებაძემ მოინადირა.

მოკლედ, კვირკველია ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

„დათო ჩვენი გუნდის ნამდვილი ლიდერია" — განაცხადა ზაპოროჟიელთა თავკაცმა სერგეი იაშჩენკომ.

**ჭაბა ზალამბერიძე**

# სალიცენზიო სეზონი დაიწყო

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციიის საკონფერენციო დარბაზში შედგა სფფ-ის გენერალური მდივნის უჩა უგულავას და საკლუბო ლიცენზირების ხელმძღვანელების შეხვედრა იმ საფეხბურთო კლუბების ლიცენზირებაზე პასუხისმგებელ პირებთან, რომლებმაც თანხმობა გამოთქვეს 2007-08 წლების სალიცენზიო სეზონში მონაწილეობაზე. ასეთი კლუბების რაოდენობა სულ თოთხმეტია, აქედან ათი უმაღლეს ლიგას წარმოადგენს, ხოლო ოთხი — პირველს.

ეს კლუბებია: რუსთავის „ოლიმპი", თბილისის „ამერი", თბილისის „ვიტ ჯორჯია", თბილისის „დინამო", „ზესტაფონი", ქუთაისის „ტორპედო", ბოლნისის „სიონი", საჩხერის „ჩიხურა", „ბორჯომი", თელავის „კახეთი", ზუგდიდის „მგლები", ახალციხის „მესხეთი", თბილისის „ნორჩი დინამოელი", აგარის „მეშაქრე".

კლუბებში მიმდინარე რეორგანიზაციებთან დაკავშირებით, ლიცენზირების პროცესში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს თბილისის „ლოკომოტივმა", ბათუმის „დინამომ", გორის „დილამ", „გაგრამ" და თბილისის „სპარტაკმა". რაც შეეხება თბილისის „მერანს", ამ კლუბს შეთავაზებაზე რეაგირება საერთოდ არ მოუხდენია.

მიმდინარე საფეხბურთო სეზონში სალიცენზიო პროცესის მონაწილე კლუბებს, რა თქმა უნდა, განსხვავებული მიზნები აქვთ — ზოგი ევროპის საკლუბო ტურნირების საგზურის მოსაპოვებლად იბრძვის, ზოგი — უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, პირველი ლიგის გუნდები კი ლიდერთა პოზიციაზე იმყოფებიან და მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში გადმოსვლის რეალური კანდიდატები არიან. ამათგან, ევროსაგზურის მოპოვების მსურველი კლუბებისთვის ლიცენზირების პროცესს არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან უეფას საკლუბო ტურნირებზე თამაშისთვის, სპორტულ შედეგთან ერთად, აუცილებელია ლიცენზიის მოპოვებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპოვებული წარმატების მიუხედავად, არალიცენზირებული კლუბის ნაცვლად ევროპულ საკლუბო სარბიელზე სპორტული პრინციპით მომდევნო ლიცენზირებული კლუბი ითამაშებს. რაც შეეხება დანარჩენ კლუბებს, წლეულს მათთვის ლიცენზირების პროცესში მონაწილეობა ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იქნება 2008-09 წლების სალიცენზიო სეზონის წინ, როდესაც ლიცენზია აუცილებელი იქნება არა მხოლოდ უეფას საკლუბო ტურნირებზე, არამედ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გათამაშებაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლადაც.

იმედია, კლუბები მიმდინარე სეზონში წარმატებით დაძლევენ ლიცენზირების წინაშე მდგარ პრობლემებს და ეს მათ სპორტულ შედეგებზეც აისახება.

*სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემა*

„იუვენტუსის“ პრეზიდენტ ჯოვანი კობოლი ჯილის ეჭვი არ ეპარება, რომ იტალიის ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო სასამართლო ტრიბუნალის მიერ ზაფხულში მისჯილ მინუს ქულებს გაუბათილებს. შეგახსენებთ, რომ სასამართლო 11 ოქტომბერს უნდა შედგეს, იმ დღეს, როდესაც იტალიელთა მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრები თბილისში საქართველოს ეთამაშება



# იუვენტუსი საქართველოს ელის

## მინუსის მინუსი პლუსია: ჯილის იმედიანი არია

„მწამს, რომ მინუსებს ჩამოგვაშორებენ — თქვა შავ-თეთრების პრეზიდენტმა „კორიერე დელო სპორტთან“ ინტერვიუში — თან ამას შეღავათად არ განვიხილავ, რადგან დასჯით ჩვენ უკვე საკმარისად დავისაჯეთ“.

„იუვენტუსი“ კალჩოპოლის სკანდალში გახვეული იტალიური კლუბებიდან ყველაზე მეტად დაისაჯა, რადგან თავად სკანდალი წარმოიშვა ტურინული კლუბის დირექტორების, ლუჩანო მოჯისა და ანტონიო ჯირაუდოს სატელეფონო საუბრების მოსმენის გამო. ტრიბუნალზე დამტკიცდა, რომ მსაჯთა მიმხრობის იტალიური სისტემა მოჯის მოფიქრებული გახლდათ და გუნდი სერია B-ში დააქვეითეს, სადაც ახალი ჩემპიონატის დაწყება მინუს 17 ქულით უბრძანეს.

კობოლი ჯილი: „ზარალის ანაზღაურება მოჯისა და ჯირაუდოს უნდა მოვთხოვოთ. ჯერჯერობით ამ საკითხს ვსწავლობთ და თუ აღმოვაჩენთ, რომ საამისო საფუძველი არსებობს, აუცილებლად ვუჩივლებთ ყოფილ დირექტორებს. ამასთან, გვინდა ყველამ იცოდეს, რომ სკუდეტოები, რომლებიც ჩამოგვართვეს, ჩვენს ფეხბურთელებს ალალად ჰქონდათ მოგებული“.

შემდეგ პრეზიდენტმა სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა:

„ჩვენ ახალი „იუვენტუსის“ პროექტს ვადგენთ და გვიხარია, გუნდმა სერია B-ს უცბად რომ აუღო ალღო. ხუთ წელიწადში „ბებერი ქალბატონი“ ძველ სტატუსს დაიბრუნებს“.

შეგახსენებთ, რომ სერია B-ში გაგდებამ „იუვენტუსის“ ბევრ ფეხბურთელს ტურინიდან გაქცევისკენ უბიძგა.

„ვწუხვარ, რომ ზოგი ჩვენი მოთამაშე, მაგალითად, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, წავიდა. მგონი, მან ჩვენი სამომავლო გეგმა ვერ გაიგო ან, შეიძლება, ჩვენ ვერ ავუხსენით ბოლომდე კარგად. თუმცა ყველაზე მტკივნეული ჯანლუკა ძამბროტას „ბარსელონაში“ წასვლა გახლდათ. ჩვენთან მას კიდევ ოთხი სეზონი უმაღლეს დონეზე გარანტირებული ჰქონდა“.

კობოლი ჯილიმ აგრეთვე გაამართლა იტალიის ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილება „ბრეშასთან“ თამაშის 8 ოქტომბრიდან 1 ნოემბერს გადადებასთან დაკავშირებით. საქმე ის არის, რომ 7 ოქტომბერს იტალია უკრაინას მასპინძლობს, 11-ში კი, როგორც მოგახსენეთ, საქართველოში მოდის და „იუვენტუსის“ ფეხბურთელთა ნაწილიც მოჰყავს.

„არა მგონია, ამ თამაშის გადატანამ რაიმე პრობლემა გამოიწვიოს“ — დასძინა პრეზიდენტმა.

**ბაჩუნა ძიდია**

# მე დავბრუნდები!

## ლიპის გულმა ესპანეთი უკარნახა

**იტალიის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, მსოფლიოს ჩემპიონმა მარჩელო ლიპიმ აღნიშნა, რომ ფეხბურთს მომავალ სეზონში მაინც დაუბრუნდება და სურს, რომელიმე ესპანური კლუბი ჩაიბაროს. მოგეხსენებათ, ჭაღარა ტაქტიკოსი მუნდიალის მერე უქმადაა და ისვენებს.

„ძალიან მინდა, პრიმერადივიზიონში ვიმუშაო და შესაძლოა, ასეც მოხდეს. იქაური ფეხბურთისგან დიდ სიამოვნებას ვიღებ. იტალიური კლუბებისგან წინადადება არ მიმიღია, მაგრამ უცხოეთიდან დიდია დაინტერესება. თუმცა უახლოეს რამდენიმე თვეში ფეხბურთში დაბრუნებას არ ვაპირებ“ — თქვა ლიპიმ.

ლიპის ბევრი სთხოვდა „სკუადრა ადზურაში“ დარჩენილიყო, მაგრამ მაინც წასვლა გადაწყვიტა და „რაიუნოს“ ერთ-ერთ ტელეშოუში მიზეზებზე კიდევ ერთხელ ისაუბრა.

„ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა გვიდო როსიმ დარჩენა მთხოვა — განაცხადა ლიპიმ — მე კი ვთქვი, საკმარისია, რადგან კალჩოპოლის მთელ ამ სკანდალში მონაწილეობის მიღება არანაირი კუთხით არ მინდოდა. თანაც მსოფლიოს ჩემპიონატზე საწადელს მივაღწიე და ზეწოლის ქვეშ ყოფნა აღარ მსურდა. მქონდა სხვა მიზეზებიც. მთლიანობაში კი ეს, ორწლიანი სასიამოვნო და დატვირთული პერიოდის ლოგიკური დასასრული იყო“.

ლიპიმ კომენტარი მის შემცვლელ რობერტო დონადონიზეც გააკეთა, რომლის ხელშიც „სკუადრა ადზურა“ ჯერჯერობით ცუდად თამაშობს: „დონადონი ჭკვიანი და ნიჭიერი მწვრთნელია. დარწმუნებული ვარ, იგი ნელ-ნელა გამოვა ამ მძიმე სიტუაციიდან და იტალიის ნაკრებთან ერთად წარმატებასაც მიაღწევს“.

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის პენალტების სერიის გაუქმებაზე და ფრის შემთხვევაში გამარჯვებულის გამოსავლენად სხვა ალტერნატივის მონახვაზე ფიქრობს. ლიპის აზრი ამაზეც ჰკითხეს და გაირკვა, რომ მას პენალტების საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ იტალიელები ტრადიციულად უიღბლონი არიან თერთმეტმეტრიანებში. თუმცა ლიპისთან ერთად ფინალში საფრანგეთს სწორედ „საფეხბურთო ლატარიით“ მოუგეს.

მარჩელო ლიპი: „ჩემი აზრით, პენალტების სერია ტექნიკური ტესტია და არა ლატარია. ძალიან იშვიათია, რომ მასში ისეთმა გუნდმა გაიმარჯვოს, რომელიც არ იმსახურებდა მოგებას. ვფიქრობ, ძნელი იქნება ფრის შემთხვევაში გადათამაშების დანიშვნა, როცა თანამედროვე ფეხბურთელებს ასეთი დატვირთული განრიგი აქვთ და სეზონში უამრავ მატჩს მართავენ“.

მოგეხსენებათ, ლიპის წარმატებული კარიერა დიდწილად ტურინის „იუვენტუსს“ უკავშირდება, რომელიც კალჩოპოლის განაჩენით სერია B-ში დააქვეითეს და ბოლო ორი სკუდეტო ჩამოართვეს.

„ნამდვილად არ ველოდი, თუ ტურინელებს სერია B-ში ვიხილავდი. თუმცა „იუვენტუსი“ ყველაფერს სწორად მიუდგა და ღირსეულად შეხვდა, რაც ამ კლუბისთვის დამახასიათებელია“ — დასძინა ლიპიმ.

**გიორგი ძაძამიძე**



# შეთქმულება თუ ჯაშუშობა?

## მეორედ მისვლას ნუ ელით



**„ინტერის“** მეპატრონე მასიმო მორატი ფრანჩესკო სავერიო ბორელისთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა, თუმცა დასძინა, რომ მისი კლუბი შეთქმულების მსხვერპლია.

შეგახსენებთ ვინ არის სინიორ ბორელი. ის გახლავთ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მთავარი გამომძიებელი, რომლის ხელშიც მთელმა კალჩოპოლის სკანდალმა ჩაიარა და ახლა ეს პატიოსანი ადამიანი „ინტერის“ საქმესაა მიმდგარი. „ინტერის“ საქმე კი 2002 წელს მსაჯის, მასიმო დე სანტისის თვალთვალისა და მისი სატელეფონო საუბრების მოსმენის ბრალდებისაგან შედგება.

„არა მგონია, რომ უნდა მოვყვე რა ვუთხარით მე და მან ერთმანეთს — განაცხადა მორატიმ ფედერაციიდან გამოსვლის შემდეგ — ეს ელემენტარულად, ბორელისა და მისი გუნდის შეურაცხყოფა იქნებოდა. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ იქ ყველა თავაზიანად იქცეოდა და ყურადღებით მისმინეს. ვგონებ, უკლებლივ ყველა მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს შევეხეთ, ასე რომ, მეორედ მისვლა აღარ უნდა დამჭირდეს“.

„ინტერის“ მეპატრონე დარწმუნებულია, რომ ის ხალხი, ვინც კალჩოპოლის სკანდალის დღეებში ამხილეს და დასაჯეს, ახლა მის წინააღმდეგ შურისძიებას აწყობს. მაგნატის რწმენით ისინი მას და მის კლუბს ტალახში სვრიან, რაშიც პრესა უწყობს ხელს.

„ბოლო დღეებში უამრავი რამ მოვისმინე და წავიკითხე. იქნებ არც დაიჯეროთ, მაგრამ ყველაფრის გამოკვლევას სწორედ ბორელის ვანდობ. სპორტული თვალსაზრისით ბოლო წლებში „ინტერმა“ ძალიან დიდი საფასური გაიღო, ახლა კი მედიის მართული ნაწილის შეტევების მსხვერპლი ვხდებით. იმედს გამოვთქვამ, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი დაწყნარდება“.

ამასობაში კი ამოტივტივდა ახალი სახელი — კრისტიან ვიერი. არა, ბუნებრივია, ვიერი, როგორც თავდამსხმელი ყველასთვის კარგად იყო და ჯერ კიდევ არის ცნობილი, მაგრამ ამჯერად მის სხვა კონტექსტში მოხსენიებაზეა ლაპარაკი. თავად მისი სიტყვები მოვიტანოთ:

„ძალიან გაწბილებული ვარ. ხუთი წლის განმავლობაში „ინტერისთვის“ ყველაფერი გავიღე, ისინი კი თურმე ჩემს სატელეფონო საუბრებს უსმენდნენ“.

ფეხბურთის ფედერაციის გამომძიებლები ვიერის განცხადებას დაკვირვებით სწავლობენ და დაასკვნიან, არსებობს თუ არა სასამართლოში საქმის აღძვრის წინაპირობა.

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტივ მაკლარენი: ინგლისელი სამბას და ტანგოს ვერ იცეკვებს

ყბადაღებული კითხვაა: ევოლუცია თუ რევოლუცია? ინგლისის ნაკრების თავკაცის, სტივ მაკლარენის შემთხვევაში სწორი პასუხია — ევოლუცია. დიახ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ინგლისის ნაკრების სათავეში სვენ გორან ერიკსონის მისი ასისტენტით ჩანაცვლება, ფეხბურთის ასოციაციის მხრიდან ევოლუციური ნაბიჯი იყო და ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან „მიდლსბროს" ყოფილ შეფს კარიერის კიბეზე თანაბარი, მაგრამ დიდი ნაბიჯებით ასვლა სჩვევია.

თავიდან მაკლარენი „დერბი ქაუნთის" ხელმძღვანელობდა და იქ დანერგილი თავისებური მეთოდებით ისე გამოიჩინა თავი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" სახელოვანმა შეფმა ალექს ფერგიუსონმა თავის ასისტენტთა ამალაში მიიწვია. ჰოდა, სწორედ მაკლარენი გახლდათ ერთ-ერთი მათგანი, ვინც „ოლდ ტრეფორდზე" ცნობილი „ტრებლი" ანუ ერთ სეზონში სამ შეჯიბრებაში გამარჯვება შეამზადა. შეგახსენებთ, 1999 წლის გაზაფხულზე „მანჩესტერ იუნაიტედმა" ქომაგები ინგლისის ჩემპიონობით, ფეხბურთის ასოციაციის თასის მოგებითა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებით გაახარა. 2001 წელს მაკლარენმა დამოუკიდებელი მოღვაწეობა სცადა — „მიდლსბროში" გადავიდა და ამ გუნდსაც დაატყო ხელი. მისი ხელმძღვანელობით უეფას თასის ფინალში ითამაშეს, თუმცა ის ფინალი „მიდლსბროს" თავკაცის თანამდებობაზე მაკლარენის ბოლო შეხვედრა გამოდგა, ამის შემდეგ მწვრთნელი ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე გაჰყვა. აღსანიშნავია, რომ მაკლარენისთვის ინგლისის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტობა ახალი საქმე არ ყოფილა, რამეთუ ის ამ თანამდებობაზე შეთავსებით 2000 წლიდან მუშაობდა, თუმცა 2002-ის ოქტომბრიდან 2004 წლის მაისამდე შუალედი გამოტოვა.

ახლა იმაზე ვთქვათ თუ რა კონტრარგუმენტით შეხვდნენ ეროვნული გუნდის მწვრთნელად მაკლარენის დანიშვნას კრიტიკოსები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მაკლარენის ინგლისი ერიკსონის ინგლისის ალი-კვალი იქნებოდა, მაგრამ ჰოი საოცრებავ, ახალი მწვრთნელის თანამდებობაზე მისვლის პირველი დღიდან პირიქით მოხდა, ნაკრებში მეტისმეტად აშკარა ცვლილებები განხორციელდა, მაგალითად, კაპიტნობიდან ვარსკვლავთ-ვარსკვლავი დევიდ ბექემი გადააყენეს და სამკლავური ჯონ ტერის გადასცეს. წარმოშობით იორკშირელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ინგლისის ნაკრები სამი თამაშიდან სამი მოგებით იწონებს თავს, თუმცა, კრიტიკოსებიც არ ნებდებიან და აცხადებენ, რომ წარუმატებლობები მას ჯერ კიდევ ელის. რას იზამ, ისინი იმიტომაც არიან კრიტიკოსები, ასე რომ ილაპარაკონ. **FIFA.COM**-მა კი მაკლარენს ინტერვიუ ჩამოართვა

**— სტივ, ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობა განიჭებთ სიამოვნებას?**

— დიახ. ნაკრებში მუშაობა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. სვენის ასისტენტობისას მიხაროდა უდიდეს შეჯიბრებებში მონაწილეობა, ურთიერთობები, ტურნირები, შეკრებები... თითქმის ხუთი წლის განმავლობაში ფეხბურთელებთან ჩინებული ურთიერთობები ჩამომიყალიბდა და ახლა, როდესაც მწვრთნელად დამნიშნეს, ამ ურთიერთობებს ვიყენებ.

**— რა განსხვავებაა კლუბისა და ნაკრების წვრთნას შორის?**

— კლუბის მწვრთნელობა ყოველდღიური სამუშაოა. უსასრულოდ, ოცდაოთხი საათის განმავლობაში გეძლევა გუნდის ხარვეზების გამოსწორების საშუალება, რადგან თამაშს თამაში მოსდევს. „მიდლსბროს" მაგალითს გეტყვით, ბოლო ორი სეზონის განმავლობაში გუნდი უეფას თასზე გამოდიოდა ანუ კვირაში სამჯერ გვიწევდა თამაში. სამუშაოს ინტენსივობა იყო სხვა და ვფიქრობ, განსხვავება, რომელზეც თქვენ მეკითხებით, სწორედ ეს ინტენსივობაა. ინგლისის ნაკრების მწვრთნელის რანგში კი ჩავლილი მატჩის ანალიზისთვის დიდი დრო მაქვს ყოველი მომდევნო თამაშისთვის შესამზადებლადაც, მაგრამ, როდესაც ფეხბურთელებს ერთად ვკრებ, იძულებული ვხდები ყველაფერი რამდენიმე დღეში ჩავტიო. აქ, სხვანაირ ინტენსივობასთან მიწევს ურთიერთობა — შეკრების დღეებში მზადების ინტენსივობაა ორჯერ მაღალი, ვიდრე საკლუბო ფეხბურთში. ამიტომაც, გუნდები სხვადასხვანაირია. ნაკრებში სხვა ტიპის ექსტრემალურ პირობებში ხვდები, კლუბში კი სხვანაირში.

**— მოდი, მსოფლიოს ჩემპიონატი გავიხსენოთ. რატომ ვერ გაუმართლა ინგლისის ნაკრებმა გულშემატკივარს იმედი? იქნებ გუნდი არ იყო საკმარისად ძლიერი ან უიღბლობამ შეგიშალათ ხელი? და რუნის გაძევება?**

— ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდი, რომელიც ყველაზე კარგად იწყებს, ყოველთვის ჩემპიონი ვერ ხდება. იქ მომენტს უნდა დაჭერა, საკუთარი თავის რწმენას — მოპოვება და საჭირო დროს იღბალმაც უნდა შეგიწყოს ხელი. გამარჯვებასა და დამარცხებას შორის მეტისმეტად ვიწრო ხაზი გადის. ხშირად მოგება-წაგებას ისეთი წვრილმანი განაპირობებს, რომელსაც შენ ვერანაირად ვერ გააკონტროლებ. მაგალითად, მსაჯის გადაწყვეტილება ან მეტოქის შესრულებით თუნდაც წამიერი გენიალური ეპიზოდი. ერთი ასეთი წამი და შეჯიბრებიდან გამოვარდნილი ხარ. ერთი სიტყვით, მრავალი ფაქტორი არსებობს და როგორც მოგახსენეთ, ჩემპიონი მაინც და მაინც ფავორიტი არ ხდება. გაიხსენეთ საფრანგეთისა და იტალიის მაგალითი. მათ ფინალში ითამაშეს, არადა ჩემპიონატის დაწყებამდე ორივე პრობლემების წინაშე იდგა. როგორც ჩანს, სწორედ ამ პრობლემებმა უბიძგა ერთსაც და მეორესაც მეტი მობილიზებისკენ. მგონი, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ფავორიტად ბრაზილიას მიიჩნევდნენ და მართლა ბრაზილია გახდა ჩემპიონი. ხანდახან გამარჯვებისთვის დამატებითი მოტივაციაა საჭირო.

**— იმ წლებში, როდესაც თქვენ „დერბი ქაუნთის" წვრთნიდით, ამბობდნენ, რომ ინგლისურ ფეხბურთში ახალი სამწვრთნელო მეთოდები დანერგეთ. რაიმე ახალი მეთოდი ხომ არ გაქვთ ამჯერადაც, როდესაც ნაკრები გაბარიათ?**

— მეცნიერება და სისტემები იმ წლებში, როდესაც მე ვიწყებდი, ყველას პირზე ეკერა. მე ანალიზური სისტემის, „პროზონის" ერთ-ერთი პიონერთაგანი გახლდით და მას „დერბი ქაუნთის" ცხოვრებაში ვნერგავდი.



დღეს ყველა გუნდში მუშაობს სისტემა და ასეთი სისტემა უამრავია. მეცნიერების წყალობით თანამედროვე ფეხბურთში მთელი რიგი ტრავმები შემცირდა, გაიზარდა ფიზიკური მომზადების ხარისხი. მე ვფიქრობ, მწვრთნელმა ყველაფერი, რაზეც ხელი მიუწვდება, უნდა გამოიყენოს. თუნდაც სულ მცირე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმაღლეს დონეზე, სადაც საზღვრები მცირეა და განსხვავებას რაიმე თვისების ერთი-ორი პროცენტი ქმნის.

**— რას გვეტყოდით ინგლისის ნაკრების ერთი თავდამსხმელით თამაშზე?**

— აქ ორ ფაქტორს უნდა გაეწიოს ანგარიში. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითამაშო შენს განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელების საუკეთესო თვისებების გამოყენებით. შენი მოთამაშეები ყველაზე შესაფერის პოზიციებზე უნდა განალაგო და მაქსიმუმი გააკეთებინო, მაგრამ იმავდროულად მოთამაშეებსაც უნდა ჰქონდეთ ადაპტაციის უნარი. მათ სხვადასხვა როლისთვის ალღოს აღება უნდა შეეძლოთ. სისტემათა ცვლის მოყვარული არ გახლავართ, თუმცა კლუბებს 4-4-2, 4-5-1, 4-3-3 ან 3-5-2 სისტემით ვათამაშებდი ანუ ვცდილობდი, ჩემი გუნდები მრავალნაირი ფეხბურთის თამაშისთვის ყოფილიყვნენ მზად. მაგრამ ნაკრები სხვაა, ინგლისის ნაკრებმა ინგლისური ფეხბურთი უნდა ითამაშოს. ჩვენ, ინგლისელები, ბრაზილიურად ან არგენტინულად ვერაფრით ვერ ვითამაშებთ, ჩვენ სხვა ძლიერი მხარეები გვაქვს და მათზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი, ოღონდ ამასთან ერთად აუცილებლად უნდა შეგვეძლოს სხვადასხვა სისტემების გამოყენება, ისეთების, რომლებიც თამაშებს მოგვაგებინებენ. ინგლისური ფეხბურთის მთავარი კომპონენტი ტემპია, ევროპელები კი სრულიად განსხვავებულ სტილს მისდევენ, რომლისთვისაც ალღოს აღებაა საჭირო. ჩვენი თამაში ინტენსიური და არაინტენსიური მონაკვეთებისგან უნდა შედგებოდეს, თუმცა ორივე შემთხვევაში მატჩის სადავეები უნდა გვეპყრას ხელთ. ახლა სწორედ ამაზე ვამახვილებ ურადღებას. ბურთს ვფლობთ თუ არა, თამაშს ჩვენ უნდა ვაკონტროლებდეთ.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე, პორტუგალიის ნაკრებთან შეხვედრაში, მეორე ტაიმის პირველ 20 წუთს თუ არ ჩავთვლით, ინგლისის ნაკრები სწორედაც რომ ვერ აკონტროლებდა თამაშს.**

— სავსებით მართალია. მთავარი სწორედ ეს გახლდათ. რაც არ უნდა მოხდეს, ტემპსა და თამაშს ჩვენ უნდა ვაკონტროლებდეთ. ამა თუ იმ თამაშში შეიძლება კარგი მონაკვეთი იყოს და შეიძლება, არასახარბიელო, მაგრამ ნებისმიერი სირთულიდან გამოსვლა უნდა შეგვეძლოს. მგონი, უპირველეს ყოვლისა სწორედ ეს ასპექტები გვაქვს განსავითარებელი.

**— ევრო 2008-ს შესარჩევი ეტაპი ორი გამარჯვებით დაიწყეთ...**

— ამ ორი შედეგით კმაყოფილი ვარ. საერთოდაც, ჩემი ხელმძღვანელობით ნათამაშები სამივე შეხვედრა ჭკუის სასწავლი გამოდგა. აქ, „ოლდ ტრეფორდზე" საბერძნეთის ნაკრებთან ჩატარებულ ამხანაგურ მატჩსაც ვგულისხმობ. ვიცი, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი. მსოფლიოს ჩემპიონატმა ბევრი კითხვა დატოვა, რომლებზეც პასუხი უნდა გავცეთ. ახლა, სამი გამარჯვების შემდეგ მოპოვებული ფანების ნდობა ხელიდან აღარ უნდა გავუშვათ.

**— ამ დღეებში მაკედონიასა და ხორვატიასთან გელით თამაში. რას ფიქრობთ ამ მატჩების წინ?**

— მაკედონიასთან ერთხელ უკვე ვითამაშეთ და ვიცით, რომ ძნელი შეხვედრა გველის, ხორვატიასთან დაპირისპირება კი ჩვენი ძალის გამოცდაა. ხორვატები ტექნიკურად საუცხოონი არიან. ხორვატიასა და ამ ქვეყნის ფეხბურთს ჩინებულად ვიცნობ. მე მიმუშავია იგორ შტიმაცთან და ალიოშა ასანოვიჩთან, რომელთაც „დერბი ქაუნთიში" ვწვრთნიდი, ხოლო მათი ნაკრების ახლანდელ მწვრთნელს, სლავენ ბილიჩს „ევერტონიდან" ვიცნობ. ამასწინათ სლავენთან ჩეთი მქონდა და მან მითხრა, რომ მშვენიერი ახალგაზრდული გუნდი ჰყავს. პლუს, ხორვატიაში გუნდის გარდა, სტადიონზე შექმნილ ატმოსფეროსთანაც გაქვს საქმე. ხალხი მეტად ინტენსიურად და ემოციურად უჭერს თავის ფეხბურთელებს მხარს.

**— თქვენი ჯგუფის ხიფათსა და ფავორიტებზე რას გვეტყოდით?**

— თანამედროვე გუნდებს, მათ რიცხვში მაკედონიასაც, ყველას დამარცხება შეუძლიათ. მოდი, ნურც ანდორასა და ესტონეთს გადავუსვამთ ხაზს. ამ ქვეყნებთანაც საქმეა გასაკეთებელი, თუმცა მთავარი მაინც ჩვენი ჯგუფის დიდი მატჩები და სტუმრად ნაჩვენები შედეგები იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაგომ რეალი გაიგო



ფერნანდო გაგო

**არგენტინელმა** ფერნანდო გაგომ კვირას პატაგონიის ჩემპიონატში თავისი პირველი გოლი გაიტანა და მეორე დღესვე მადრიდის „რეალის“ სატრანსფერო სამიზნედ გადაიქცა. „ბოკა ხუნიორსის“ ვარსკვლავი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასვლის სურვილს არ მალავს. „ძალიან ვამაყობ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი ჩემი შეძენით დაინტერესდა. ეს ჩემი კარგი სათამაშო ფორმის დამამტკიცებელია და ვეცდები, მომავალშიც ასე გავაგრძელო. პირდაპირ გეტყვით, რომ „რეალში“ გადასვლაზე ვოცნებობ“ — უთხრა გაგომ ესპანურ „მარკას“.

ფერნანდოს აზრით, ესპანურ პრიმერადივიზიონში სხვა არგენტინელის, სერხიო აგეროს გვერდით თამაში შესანიშნავი იქნებოდა, თუმცა „კუნ“ აგერო „რეალის“ მტრის, „ატლეტიკოს“, ბანაკშია: „ესპანეთის ჩემპიონატი ყველაზე მეტად მომწონს და იქ სიამოვნებით ვიბურთავებდი. იქაურ გუნდებში კარგი ფეხბურთელები თამაშობენ. სერხიო „კუნ“ აგეროც ხომ მარდრიდშია. მან ადაპტაციის პერიოდი მალე გაინვლო და ნახავთ, სულ ცოტა ხანში პრიმერადივიზიონის ვარსკვლავი თუ არ გახდეს.“

გაგომ ფერნანდო რედონდოზე, მადრიდის „რეალის“ ინჩასთა საყვარელ მოთამაშეზეც ისაუბრა. არგენტინაში ფერნანდო გაგოს თამაშის სტილით სწორედ რედონდოს ადარებენ. „მიხარია, როცა ასეთ ფეხბურთელს მადარებენ. რედონდო ფეხბურთის ისტორიაში დიდ მოთამაშედ დარჩება“ — განაცხადა „ბოკა ხუნიორსის“ ნახევარმცველმა.

„ლა ბონბონერას“ ვარსკვლავის მადრიდულ ზრახვებს მაურისიო მაკრი გამოეხმაურა, „ბოკას“ პრეზიდენტი: „ფერნანდო გაგოს „ბოკა ხუნიორსში“ შენარჩუნება გაგვიჭირდება. შეიძლება, „რეალმა“ მას ბევრად მაღალი ანაზღაურება შესთავაზოს, ხოლო ჩვენ ფეხბურთელს ცხოვრების უკეთესად მოწყობაში ხელს ვერ შევუშლით“ — თქვა სენიორ მაკრიმ ერთ-ერთი არგენტინული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ფერნანდო გაგოს ტრანსფერის მოსაგვარებლად, „რეალის“ სპორტული დირექტორის მოადგილე ფრანკო ბალდინი ოთხშაბათს არგენტინაში ჩავიდა. „ბოკა ხუნიორსი“ გაგოს სანაცვლოდ 20 მილიონ დოლარს ითხოვს.

**ლადო ხომერიკი**



# ჯო ბარტონი და სხვა ინგლისური თავგადასავლები

**შაბათს** „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელმა ჯო ბარტონმა შიშველი უკანალი უჩვენა „გუდისონ პარკს“. ეს სტრიპტიზი „სიტის“ მიერ 94-ე წუთზე გათანაბრებულ ანგარიშს მოჰყვა და ფეხბურთის ასოციაციამაც მალევე დაიწყო ეპიზოდის გამოძიება.

ბარტონი კარგი ფეხბურთელია, თუმცა მედიისთვის ის უფრო თავის გამოხდომებითაა საინტერესო. ეს გამოხდომები უხამსი და უგემოვნოა ხოლმე.

„ევერტონის“ გულშემატკივრებმა ბარტონს პოლიციაში უჩივლეს.

საერთოდ, „სიტის“ ფეხბურთელები გვარიანი სირთულის ხალხია: 23 აგვისტოს ბენ ტეტჩერმა იდაყვით დაანოკაუტა პორტსმუთელი პედრო მენდეში და 8-მატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიიღო. ასეთივე იყო დენი მილსი, რომელიც წლეულს წავიდა გუნდიდან და რომელიც პრემიერლიგის ყველა სტადიონზე სძულდათ. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ კლუბის მენეჯერ სტიუარტ პირსს მეტსახელად „საიქოს“ (ფსიქოპატი) ეძახიან, კომპანიის დიდებულება სახეზეა.

ბარტონს სიგიჟეები, დიახაც, რომ უქნია: 2003 წლის შობის ქეიფზე მან ანთებული სიგარა თვალში ესროლა თანაგუნდელ ჯიმი ტენდს. ერთი წლის თავზე მან სიგარის იღლი თანაგუნდელსვე, რიჩარდ დანსაც ჩაუტარა, ოღონდ ეს გუნდის ტაილანდურ შეკრებაზე მოხდა, სადაც ჯო ერთ ევერტონელ ქომაგსაც ეჩხუბა. ეს მოგზაურობა ბარტონს 120-ათასიან ჯარიმად დაუჯდა.

საერთოდ, ბარტონები ოხერი ოჯახი ჩანს: ჯოს ძმა მაიკლი 17-წლიან ციხეზეა, ბიძაშვილი პოლ ტეილორი კი 23 წელს იხდის შავკანიანის მკვლელობისთვის. ეს შავკანიანი ბიჭი ლივერპულის გარეუბანში მოკლეს, რახან თეთრ გოგოსთან ერთად დალანდეს.

ისე, ინგლისურ ფეხბურთში ბევრი რამ მომხდარა: 1998 წელს მაშინდელ „შეფილდში“ მოთამაშე პაულო დიკანიომ მსაჯ ელკოკს ხელი ჰკრა და წააქცია. 1995 წელს ერიკ კანტონამ კუნფუს ილეთით მიანგრია „პალასის“ ფანი, ხოლო რობი ფაულერმა ცხვირით გაყნოსა კარის ხაზი, აქაოდა, კოკაინიაო. ამის მიზეზი ის იყო, რომ „ევერტონის“ ფანები მას ნარკომანს უწოდებდნენ. 2004 წელს ალან სმიტმა ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლი ტრიბუნებსავე სტყორცნა, ოღონდ თავისი დის მეგობარ გოგოს მოარტყა...

ახლა კირონ დაერისა და ლი ბოიერის ამბებს რომ მოვყვეთ...

**ირაკლი გამყრელიძე**

# ლამპარდი დაყრუვდა



**ფრენკ ლამპარდის** თქმით, თავის თავს ყველაზე კრიტიკულად თავადვე აფასებს და ხალხი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთელის ძლიერებაში ეჭვი შეიტანა, მწარედ ცდება.

„ჩელსის“ ნახევარმცველი ერთ-ერთი იმ ინგლისელ ფეხბურთელთაგანია, რომლებმაც გერმანულ მუნდიალზე ფანებს იმედები გაუცრუეს. მრავალ გულშემატკივარს ახლაც ეპარება ეჭვი ლამპარდის დიდსაფეხბურთოდ სრულ მზადყოფნაში. ფრენკი მაკედონიასა და ხორვატიასთან ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ემზადება.

28 წლის ფეხბურთელმა გასულ სეზონში „ჩელსის“ და ნაკრების მაისურით 23 გოლი გაიტანა, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთიც ვერ შეაგდო, რამაც ერთობ შეაშფოთა.

„მუნდიალის შემდეგ ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი, რადგანაც გოლის გატანა ვერ შევძელი — თქვა ლამპარდმა **BBC**-სთან ინტერვიუში — ამიტომაც შევეცადე, ყურები მჭიდროდ დამეცო და კრიტიკა გულთან არ მიმეტანა. ჩვენ ხომ საკუთარ თავში ხანდახან ეჭვი გვეპარება. რამდენიმე კვირით შევისვენე, ახლა კი მუშაობა მინდა. ერთადერთი ადგილი, სადაც ყველაფერის გამოსწორება შეიძლება, საფეხბურთო მინდორია.“

„მსოფლიოს ჩემპიონატმა ჩემთვის უიღბლოდ ჩაიარა და ზაფხულში ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ — ამბობს ლამპარდი — მაგრამ სულიერად დაცემა რას მიშველიდა და ერთი წლის შემდეგ ამაყად ვიტყვი: მე დავამტკიცე, რომ თქვენ ისევ ცდებოდით. გულშემატკივრებს არ ესმით, რომ ლამპარდს გარეშე კრიტიკოსებზე მეტად დაუნდობელი შემფასებელი ჰყავს და ეს ადამიანი თავად ლამპარდია... როდის კარგად ვითამაშე და როდის ცუდად, სხვაზე უკეთ ვიცი.“

მიუხედავად ოპტიმალურ ფორმაში არყოფნისა, ფრენკმა საამსეზონოდ უკვე 5 გოლის გატანა მოასწრო. აქედან ერთი იმ მატჩში შეაგდო, რომელშიც სტივ მაკლარენმა ინგლისის ნაკრებს პირველად უთაოსნა. ადრე ლამპარდი ინგლისელთა ექსდამრიგებელ სვენ გორან ერიკსონის ფავორიტი იყო, ახლა კი მან ახალ მწვრთნელს ხელახლა უნდა დაუმტკიცოს თავისი სიძლიერე, თუმცა „ჩელსის“ მოთამაშე ამით უკმაყოფილო არ არის: „ახალი დამრიგებლის მოსვლა უკეთ კონცენტრირებაში დაგვეხმარა. თუ ძირითადში მოხვედრა გინდა, მაკლარენის წინაშე თავგამოდებით უნდა ივარჯიშო, ძველი დამსახურებები აქ არ გიშველის“.

სტივ მაკლარენმა ნაკრებში თავისი ავტორიტეტი ყოფილი კაპიტნის, დევიდ ბექემის გუნდიდან დათხოვნითაც განამტკიცა. ლამპარდიც და სხვა ალბიონელებიც მიხვდნენ, რომ ეროვნულ გუნდში ყოფნის ასპროცენტიანი გარანტია არავის აქვს.

„ლაპარაკია ინგლისის ნაკრებზე და არა რომელიღაც მეორეხარისხოვან გუნდზე. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ თუ ჩემი სათამაშო დონე დაეცემოდა, შემადგენლობაში ადგილს დავკარგავდი. ნაკრებიდან გარიცხვის პერმანენტული საფრთხე ფეხბურთელთა შორის კონკურენციას და გუნდის გაძლიერებას უწყობს ხელს“ — დაასკვნა ნახევარმცველმა.

**ლადო ხომერიკი**

# მრთგულება ტოიოტა ღირს

**სანკტ პეტერბურგის** „ზენიტის“ სამმა გულშემატკივარმა საკუთარი მანქანით 15000 კილომეტრი გაიარა, რათა საყვარელი გუნდისთვის მხარი ვლადივოსტოკშიც დაეჭირა. მერე? — იკითხავთ თქვენ. მერე ის, რომ „ზენიტის“ პრეზიდენტმა ისინი ახალი მანქანით დააჯილდოვა. მეტი არაფერი.

სამი ერთგული ფანის ძველი მანქანა, რომელმაც პატრონებზე არანაკლები გმირობა ჩაიდინა, „ჰონდას“ ფირმისაა, უფრო ზუსტად კი 1986 წელს გამოშვებული **Honda Civic**-ი გახლდათ. შესაბამისად, სამეული პეტერბურგში მატარებლით დაბრუნდა...

როგორც „ზენიტის“ ვებ-გვერდი წერს, აღფრთოვანებულმა პრეზიდენტმა კვირას, ნალჩიკის „სპარტაკთან“ შეხვედრის წინ, სამეულს ახალი **Toyota Corolla** აჩუქა.

„კლუბისგან ასეთმა ჟესტმა შეგვძრა. რა ვუყოთ ახალ მანქანას, ჯერ არ გადაგვიწყვეტია, ამწუთას ვერ გეტყვით, რომელი ჩვენთაგანი იქნება მისი მფლობელი, მაგრამ ერთი დანამდვილებით ვიცით, ჩვენ მას კლუბის ფერებში გადავღებავთ“ — უთქვამთ ვლადივოსტოკში ნამყოფებს ჟურნალისტებისთვის.

რაც შეეხება თამაშის ანგარიშს, „ზენიტმა“ „ლუჩს“ 2:0 მოუგო.

**პაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუჰამედ ალის აჩრდილი ლა მორალეხას ქუჩებში

## ბარსასთან კიჭები არ იქნება, ბარსასთან ეშვები იქნება



**რონალდო** გააფთრებით ვარჯიშობს, რათა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში შეხვდეს 22 ოქტომბერს. ამ დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ელ კლასიკო", „რეალი" — „ბარსელონა" გაიმართება და კიჭას თავის ყოფილ გუნდთან საომრად გული ერჩის, სურს, მალე გამოჯანმრთელდეს. იგი ყოველდღე ვარჯიშობს, ვალდებებას საწვრთნელ ბაზაზე წვრთნის საგანგებო კურსს გადის და, როგორც ესპანურმა მედიამ გაარკვია, ღამღამობით თავისი სახლის მიმდებარე ქუჩებში დარბის ჯანის გასაკაჟებლად. ღამეულ ვარჯიშებისას კიჭას ფიზიოთერაპევტი ხოსე ლუის სან მარტინი ახლავს, ხოლო თუ ექიმს საქმე გამოუჩნდა, რონისთან ერთად მისი მადრიდში მცხოვრები ბრაზილიელი მეგობრები დარბიან.

ლა მორალეხას უბანში „რეალის" ფორვარდის ღამეული ჯირითი ესპანური „ტელესინკოს" კამერებმა დააფიქსირეს. თავზე კაპუშონწამოფარებული ბრაზილიელი დარბის და თან მუშტებს იქნევს მოკრივესავით — რაღა რონალდო და რაღა მუჰამედ ალიო — ეწერა გუშინ ესპანურ გაზეთებში. მოკლედ, კიჭა თავგამოდებით ემზადება...

ზაფხულში ფეხზე ოპერაციაგადატანილ „მოკრივეს" ფაბიო კაპელომ კიევის „დინამოსთან" და მადრიდის „ატლეტიკოსთან" მცირე ხნით თამაშის უფლება მისცა, რითაც რონალდო სულიერად გაამხნევა. ბრაზილიელმა იცის, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს" ინჩადა ძველებურად ეთაყვანება და მათთან დაპირისპირებაც წარსულს ჩაბარდა. ვინძლო, ინჩასთა სიყვარული რონის სავარჯიშოდ უფრო მეტ ძალას ჰმატებს, ვიდრე პირადი ამბიციები.

მადრიდული „ასის" ცნობით, ფეხბურთელმა უკვე ხუთი კილოგრამი დაიკლო. კიდევ 2-3 კილოგრამიც და რონი თავის იდეალურ წონას დაიბრუნებს. ახლა წინ „ხეტაფესთან" მატჩია, შემდეგ კი 22 ოქტომბერი და „ბერნაბეუს" ასაკლებად ჯიქურ მოვარდნილი „ბარსელონა". „რეალის" გულშემატკივრები მტრის კარში რონალდოს გატანილ გოლებს მოუთმენლად ელიან, მთავარი კი ისაა, რომ ლეგენდარული კიჭა იმ დღეს ფაბიო კაპელომ ძირითადში დააყენოს.

**ლადო ხომერიკი**



# იყიდება წინდაში შენახული არგენტინა

**გერმანიის** ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" მეკარე იენს ლემანი იმ ფურცლის აუქციონზე გაყიდვას აპირებს, რომელიც მუნდიალზე არგენტინასთან მეოთხედფინალურ მატჩში ორი პენალტის მოგერიებაში დაეხმარა. 36 წლის გოლკიპერი მიღებულ თანხას ქველმოქმედებაში დახარჯავს.

ფურცელი, რომელიც მუნდიალთან დაკავშირებით ნაციონალმანშაფტზე გადაღებულ დიდ დოკუმენტურ ფილმშიც მოხვდა, პენალტების სერიის დაწყებამდე ლემანს გერმანელთა სამწვრთნელო შტაბიდან მიაწოდეს.

როგორც ირკვევა, გერმანელები საკმაო ხნის მანძილზე დეტალურად აკვირდებოდნენ იმ არგენტინელი ფეხბურთელების თვისებებსა და სტილს, რომლებსაც სავარაუდოდ, პენალტების დარტყმა მოუწევდათ.

ლემანი არგენტინელთა ყოველი დარტყმის წინ ფურცელში, რომელსაც წინდაში ინახავდა, იჭყიტებოდა და ეს, ალბათ, სამხრეთამერიკელების ნერვებზე დამატებით თამაშობდა, ხოლო გერმანელებს გვარიანად დაეხმარათ.

გაოფლილ ფურცელს მაინც შემორჩა ფანქრით ნაწერი.

**გიორგი ქაქაბაძე**

1. რიკელმე — მარცხენა მაღალ კუთხეში
2. კრესპო — გრძელი გამორბენი — მარჯვნივ, მოკლე გამორბენი — მარცხნივ
3. ჰაინცე — მარცხენა დაბალ კუთხეში
4. აიალა — დიდი პაუზა, გრძელი გამორბენი, მარჯვნივ
5. მესი — მარცხნივ
6. აიმარი — დიდი პაუზა, მარცხნივ
7. როდრიგესი — მარცხნივ

# აგახევ ყურებს!

## რაული ლენინია: ესპანელთა გულებში ცოცხლობს



სერხიო რამოსი



ფერნანდო ტორესი

**ესპანეთის** ნაკრებში რაულის არყოფნაზე, „ლას როსასის" საწვრთნელ ბაზაზე შეკრებილმა ეროვნული გუნდის ფეხბურთელებმა ისაუბრეს. კასტილიელები სტოკჰოლმში გასამართი მნიშვნელოვანი მატჩისთვის ემზადებიან და ბუნებრივია, ნაკრებში ლეგენდარული კაპიტნის არგამოძახება ყველას აწუხებს. „რაულის ამბავი ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა გადაწყვიტა. რა თქმა უნდა, ყველას გაგვიკვირდა, როცა დამრიგებელმა კაპიტნის მოწვევაზე უარი განაცხადა. გონსალეს ბლანკოს გარეშე ნაკრები ალბათ სხვანაირად ითამაშებს, ხოლო შედეგზე შვედებთან მატჩის შემდეგ ვიმსჯელოთ. ვნახოთ, რაულის ძალა ნაკრებს დააკლდა თუ არა". — განაცხადა „ასის" კორესპონდენტთან საუბარში მადრიდის „ატლეტიკოს" და ესპანეთის ნაკრების ფორვარდმა ფერნანდო ტორესმა.

„ელ ნინიოს" გარდა აზრი სხვა ფეხბურთელებმაც გამოთქვეს. „მწვრთნელის გადაწყვეტილებას ყოველთვის პატივი უნდა ვცეთ. ცხადია, რაული რაულად დარჩება და ის ყოველთვის ჩვენი კაპიტანი იქნება, მაგრამ დღეს რაული ჩვენთან არ მოსულა და მის მოვალეობას სხვა თანაგუნდელი შეასრულებს" — აღნიშნა ანტონიო ლოპესმა. „უცნაურია, რომ რაული ნაკრებში არ არის. იგი გამოცდილი ვეტერანი და დიდი კაპიტანი გახლავთ" — თქვა სერხიო რამოსმა. გონსალეს ბლანკოს ორიოდე სიტყვა, „ფურია როხას" ახალწვეულმა ანგულომაც შეაწია: „რაული დღევანდელ შეკრებაზე არ არის, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ლუის არაგონესი მას სამომავლოდ ნაკრებში აუცილებლად დააბრუნებს..."

ლუისის შეგირდებმა მეღისთან, ფერნანდო ტორესის და სერხიო რამოსის ამასწინანდელ ინციდენტზეც ილაპარაკეს. შეგახსენებთ, რომ მადრიდულ დერბიში ატლეტიკოელმა „ელ ნინიომ" რეალელ რამოსთან შეჯახება ზედმეტად გააფორმა და სერხიოსაც ამის გამო მოედანს მიღმა უკრეს თავი. „ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო. შეიძლება, მე ცოტა აგრესიულად ვიმოქმედე, მაგრამ ფერნანდომაც თავისი ტკივილი ცოტაოდენ გააზვიადა. რას იზამ, ფეხბურთი ასეთია. ახლა კი ნაკრებში ერთად ვართ და სრული უფლება მაქვს ფერნანდოს მაშინდელისთვის ყური ავუწიო" — იხუმრა სერხიო რამოსმა. შემდეგ კი სერიოზულად დასძინა, ჩვენ ერთმანეთში ყველაფერი გავარკვიეთ და ყველას ვთხოვ, იმ ეპიზოდზე საუბრისგან თავი შეიკავოთო.

თავად ტორესსაც რამოსის მსგავსად, დერბის ინციდენტის მივიწყება სურს. „ჩემთვის დერბი უკვე წარსულს მიბარდა. რაც მოხდა მოხდა და ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ" — თქვა „ელ ნინიომ".

სხვათა შორის, ფერნანდოზე ამბობენ, რომ მომავალ სეზონში მისი „მანჩესტერ იუნაიტედში" გადაბარგება გადაწყვეტილი საქმეა. „დეილი სტარის" ცნობით, მანჩესტერელებს „ატლეტიკოსთვის" წინასწარ 7 მილიონი ევრო მიუციათ, ხოლო დანარჩენ 31 მილიონს 2007-08 წლების სეზონის დაწყებამდე გადასცემენ და „ელ ნინიოც" „ოლდ ტრეფორდზე" გადავა. თუმცა, იტალიური ვარიანტიც არსებობს, რომლის მიხედვითაც ტორესი გაისად „მილანის" მოიერიშე უნდა გახდეს...

**ლადო ხომერიკი**

# ოუენი ფეხზე დგება



**ექიმებმა** მაიკლ ოუენს უთხრეს, რომ რამდენიმე თვეში ტრავმა აღარც გეხსომებაო.

წლეულს ვეღარ, მაგრამ ამ სეზონში ტანჯული მეგოლე მინდორზე გავა და ეგებ ნაკრებსაც შეუერთდეს ევროშესარჩევ მატჩში ესტონეთის წინააღმდეგ, რომელიც 6 ივნისს გაიმართება.

„ჩვეულებრივ, ეს ექვსი ან ცხრათვიანი ტრავმაა — თქვა მაიკლმა — თუ ყველაფერი კარგად წავიდა, აპრილში მზად ვიქნები".

ამერიკელმა ექიმმა რიჩარდ სტიდმანმა ფეხბურთელს უთხრა, რომ მდგომარეობით ძალიან კმაყოფილია და რომ მოშუშებული მარჯვენა მუხლი მომავალში დისკომფორტს არ შეუქმნის.

„აი, მერე კი გოლს გავიტან — ხუმრობს დამშეული ოუენი — ჩემს პირველივე თამაშს მოვიგებ. ამგვარი ოცნებები ძალიან მეხმარება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ონილმა ნაცნობი ბეჭი იყიდა



კრის სატონი

**ბირმინგემის** „ასტონ ვილამ" ვეტერანი ინგლისელი ფორვარდი კრის სატონი დაიმატა. 33 წლის ფეხბურთელი „ვილა პარკის" ბინადართა რიგებში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა და კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა გახანგრძლივების პერსპექტივით. აღსანიშნავია, რომ ბოლოს იგი „ასტონ ვილას" თანაქალაქელ „ბირმინგემში" თამაშობდა, ტრავმის გამო ფეხი ვერ მოიკიდა და გასულ ზაფხულს წამოვიდა.

სატონი „ასტონ ვილას" ახალ მწვრთნელ მარტინ ონილის მესამე შენაძენია. აქამდე მან გუნდში სტილიან პეტროვი და დიდიე აგატე მიიყვანა. სამივე მათგანთან ერთად, ონილს გლაზგოს „სელტიკში" საკმაო ხნის მანძილზე უმუშავია.

კრის სატონი: „იმედია, მალე ბოლომდე მოვმჯობინდები და მინდორს დავუბრუნდები. ბეჭის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდს გავდივარ და მინდა, ის, რაც შეიძლება, ჩქარა დასრულდეს. ვფიქრობ, დასამტკიცებელი არაფერი მაქვს. უბრალოდ, მსურს, „ასტონ ვილასთვის" ყველაფერი გავაკეთო, რაც შემიძლია, პეტროვი და აგატე კი ადაპტაციაში დამეხმარებიან."

„ძალიან მიხარია, რომ კრისი შემოგვიერთდა. „სელტიკიდან" მას კარგად ვიცნობ და ვიცი, რა შეუძლია. „ბირმინგემში" სატონის კარიერა რომ არ აეწყო, ეს მისი ბრალი არ არის, სერიოზულმა ტრავმამ შეუშალა ხელი. არადა, კრისი ამას ისე განიცდიდა, რომ ფეხბურთიდან წასვლაზეც კი ფიქრობდა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და იგი ბევრს შრომობდა, სანამ ახალ კლუბს იპოვიდა, რათა ფორმაში შესულიყო. მერწმუნეთ, ჯანმრთელი კრის სატონი „ასტონ ვილას" მნიშვნელოვნად გააძლიერებს" — თქვა ონილმა.

„ასტონ ვილას" კი ახალი ფორვარდი ნამდვილად სჭირდებოდა, რადგან ახალგაზრდა მურმა მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. ონილმაც მის შემცვლელად ძველ ნაცნობს უხმო. ვთქვათ ისიც, რომ ბირმინგემელებმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყეს და ჯერ წაუგებელნი არიან.

**ჭოჭი ჭანდელაკი**



მბო მპენზა

# ძმები მპენზები და კომპანი: ჯან, აზერბაიჯან

**ძმები** ემილ და მბო მპენზები ბელგიის ნაკრების მწვრთნელმა რენე ვანდერეიკენმა ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩებისთვის გამოიძახა. ბელგია ზეგ სერბეთს სტუმრობს, შემდეგ კი, ოთხშაბათს, აზერბაიჯანს ეთამაშება. გუნდში ასევე დაბრუნდა „ჰამბურგის" მცველი ვინსენ კომპანი, რომელმაც წინა თვეში სომხეთთან შეხვედრა გამოტოვა. მწვრთნელმა არ გამოიძახა „რეინჯერსის" მცველი ტომას ბუფელი და იგი ორივე მატჩს გამოტოვებს.

ძმებ მპენზებს ეროვნულ გუნდში ერთად 20 გოლი გაუტანიათ და 100 მატჩი უთამაშიათ. ყატარის „ალ რაიანის" ფეხბურთელმა ემილ მპენზამ ნაკრებში ბოლოს შარშან ოქტომბერში ლიტვასთან, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ითამაშა, ხოლო მბო, რომელიც ანდერლეხტის" სათადარიგოთა სკამს გაუშინაურდა, წლევანდელ მარტის შემდეგ ნაკრებში არ გამოუძახიათ.

ბელგიელებმა ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო ეტაპი ცუდად დაიწყეს — შინ ყაზახეთს ვერ მოუგეს, თუმც შემდეგ ერევანში სომხეთს სძლიეს.

**ბელგიის ნაკრები**

***მეკარეები:*** *სტიინ სტიინენი (ბრიუგე), გერტ დე ფლიგერი (ზულტე-ვარეგემი), ბრაიან ვანდენბუშე (ჰერენვენი, ჰოლანდია);*

***მცველები:*** *ვენსან კომპანი (ჰამბურგი, გერმანია), კარლ ჰოფკენსი (სტოკი, ინგლისი), ნიკოლა ლომბარტსი (გენტი), დანიელ ვან ბუიტენი (ბაიერნი, გერმანია), ჟილ ვან დამი (ანდერლეხტი), ანტონი ვანდენ ბორე (ანდერლეხტი), ფილიპ ლეონარი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), თომას ვერმაელენი (აიაქსი, ჰოლანდია);*

***ნახევარმცველები:*** *სტივენ დეფური (სტანდარდი), ჟატან ენგლებერტი (ბრიუგე), კარელ ჟერარტსი (სტანდარდი), ბარტ გოორი (ანდერლეხტი), ტიმი სიმონსი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), გაბი მუდინგაი (ლაციო, იტალია);*

***თავდამსხმელები:*** *მუსა დემბელე (ალკმაარი, ჰოლანდია), სტეინ ჰიუსეგემსი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), ლუიჯი პიერონი (ოსერი, საფრანგეთი), კევინ ვანდენბერგი (გენკი), მბო მპენზა (ანდერლეხტი), ემილ მპენზა (ალ რაიანი, ყატარი)*

# ორმა ერთს აუხსნა



**ჰოლანდიის** ნაკრების კაპიტანმა ედვინ ვან დერ სარმა განაცხადა, რომ მარკ ვან ბომელსა და რუდ ვან ნისტელროის „ნარინჯისფერთა" რიგებში დაბრუნება სთხოვა. მოგეხსენებათ, ეს წყვილი მთავარ მწვრთნელ მარკო ვან ბასტენზეა განაწყენებული.

„მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერან მეკარეს თუ ვენდობით, ვან ბომელი საერთოდ აღარ აპირებს ნაკრებში დაბრუნებას, ხოლო ვან ნისტელროიმ ტრავმირებული კლაას იან ჰუნტელარის შეცვლა იუარა და სანამ ვან ბასტენი იქნება, ჰოლანდიის მაისურით არ ვითამაშებო, ამბობს. ამ ორს ურთიერთობა გერმანიის მუნდიალზე დაეძაბა.

„რა თქმა უნდა, ისინი აქ უნდა იყვნენ. როგორც კაპიტანს, მათთან აუცილებლად უნდა მესაუბრა და ასეც მოვიქეცი. მარკმა და რუუდმა რაღაც-რაღაცები ამიხსნეს. ვან ბომელის თქმით, მან ეს გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრისა და ყოყმანის მერე მიიღო და ჰოლანდიის ნაკრებში თამაშს აღარ აპირებს. ვან ნისტელროის შემთხვევაში კი სხვა ვითარებაა. მას დაბრუნება უნდა და იმედია, მალე ასეც მოიქცევა. მათ გარეშეც საკმაოდ კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს, ყოველთვის საუკეთესო ვარიანტი მინდა. მჯერა, სხვებიც ასე ფიქრობენ. დიდი სურვილი მაქვს, უძლიერესი შემადგენლობით შევიკრიბოთ და წარმატებას მივაღწიოთ" — განაცხადა 36 წლის ვან დერ სარმა.

ჰოლანდიის ნაკრები 7 ოქტომბერს სოფიაში ბულგარეთს სტუმრობს, ხოლო ოთხი დღის მერე ალბანეთს უმასპინძლებს.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

# კაშტანის დარდი კატანია

**ისრაელის** ნაკრების მწვრთნელს დრორ კაშტანს, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად „მოსკოვზე ლაშქრობის" წინ დაშავებული თავდამსხმელები იანივ კატანი და ომერ გოლანი გამოაკლდა. საინტერესოა, როგორც ჰაიფას „მაკაბის" ფორვარდ კატანს, ასევე ფეთაჰ თიკვას „მაკაბის" თავდამსხმელ გოლანს მუცლის კუნთები სტკივათ, რისი მკურნალობაც რამდენიმედღიანი დასვენება გახლავთ.



დრორ კაშტანი

კაშტანს სხვა პრობლემებიც შეიძლება აღმოაჩნდეს. მაგალითად, ინგლისური პრემიერლიგის ბოლო ტურში ფეხი იტკინეს „ვესტ ჰემის" ნახევარმცველმა იოსი ბენაიუნმა და „ბოლტონ უონდერერზის" მცველმა ტალ ბენ ჰაიმმა, თუმცა ექიმების თქმით ასეთმა ტრავმებმა მათ მოსკოვში თამაშში ხელი ვერ უნდა შეუშალოს.

„დამაკმაყოფილებს ნებისმიერი შედეგი, რომელიც რუსეთიდან შინ ქულებით დაგვაბრუნებს — ბრძანა ისრაელის მწვრთნელმა — ეს ჩვენს მდგომარეობას გაამყარებდა, რუსებისას კი დაასუსტებდა. სასურველი შედეგის მისაღწევად ჩვენ მხნეობა გვჭირდება, თუმცა ისიც ფაქტია, რომ სტუმრად ვთამაშობთ გუნდთან, რომელიც შინ, როგორც წესი ძლიერია".

**პაპუნა ჭედია**

# ნორვეგია: ძალიან თამაში ბერძნებისთვის

**ევროპის** ჩემპიონ საბერძნეთს შაბათს ნორვეგიასთან მატჩში ფორვარდი დიმიტრის პაპადოპულოსი და ნახევარმცველი პანაიოტის ლაგოსი დააკლდებიან ტრავმის გამო. მათ ნაცვლად ოტო რეჰაგელმა ორი მცველი გამოიძახა — ხრისტოს პაცაცოღლუ და მიხალის კაპსისი, თუმც მოულოდნელად კაპსისის კლუბმა „ოლიმპიაკოსმა" ფეხბურთელის გაშვება იუარა. კაპსისი ავტომობილით ნაკრების ბაზაზე მიემგზავრებოდა, როცა კლუბის ჩინოვნიკმა დაურეკა და უკან დაბრუნება მოსთხოვა. „ოლიმპიაკოსმა" ეროვნულ გუნდში არ გამიშვა — თქვა ფეხბურთელმა რადიოინტერვიუში — მეტს ვერაფერს ვიტყვი, მისტერ ოტო რეჰაგელს კი გამოძახებისთვის მადლობას ვუხდი".

ევროპის ჩემპიონი კაპსისი „ოლიმპიაკოსის" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობს მას შემდეგ, რაც გუნდის მწვრთნელად ტრონდ სოლიედი მივიდა. გუშინწინ რეჰაგელმა და სოლიედმა ისაუბრეს, მაგრამ ეს ამბავი იმით დამთავრდა, ფეხბურთელი ნორვეგიასთან და ბოსნიასთან ვერ ითამაშებს. „ეს საკითხი გარკვეული და ამოწურულია" — განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა — კაპსისი კლუბში დარჩება".

რაც შეეხება ხრისტოს პაცაცოღლუს, მას თითქმის ორი წელი გაუცდა ტრავმის გამო და ახლაღა მომჯობინდა.

ნორვეგიასთან მატჩის თაობაზე კი ბერძენთა ნახევარმცველმა კოსტას კაცურანისმა თქვა: „თავიდანვე ისე უნდა ვითამაშოთ, მეტოქეს შანსი არ დავუტოვოთ, რადგან ეს მატჩი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცანობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 2 | იეოვილი-ჩელტენჰემი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 22:45 | 3 | ჯილინგემი-ოლდჰემი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 22:45 | 4 | სვონსი-ტრანმერი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 22:45 | 5 | ბორნმუთი-ნორთჰემპტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 15:15 | 6 | ნოტინჰემი-სკანთორპი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 16:00 | 7 | ბრედფორდი-დონკასტერი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 18:00 | 8 | ლეიტონი-ჩესტერფილდი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 16:00 | 9 | ბრენტფორდი-ბრისტოლი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 17:00 | 10 | კარლაილი-მილუოლი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 18:00 | 11 | კრუ-ჰადერსფილდი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:30 | 12 | ბრაიტონი-ბლეკპული | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 17:00 | 13 | პორტ ვეილი-როტერჰემი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 14 | დარლინგტონი-როჩდეილი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 22:45 | 15 | ჩესტერი-უოლსოლი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 16 | უიკომბი-ბური | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 22:45 | 17 | ლინკოლნი-ჰარტლპული | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 18 | ტორკი-პიტერბორო | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 22:45 | 20 | შრუსბერი-მაკლსფილდი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 19 | მენსფილდი-ნოტსი | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 18:00 | 21 | აკრინგტონი-სვინდონი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 22 | რექსემი-ბოსტონი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 23 | სტოკპორტი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 25 | გრიმსბი-ჰერეფორდი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 57 | შო დე ფონი-ვადუცი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 19:45 | 58 | ივერდონი-ბიელი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 21:00 | 59 | ვილი-ვინტერთური | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 21:30 | 60 | კრიენსი-ქიასო | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:30 | 61 | ბელინცონა-ლოკარნო | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 16:30 | 62 | დელემონი-კონკორდია | 4.40 | 3.40 | 1.65 | 1.91 | 1.20 | 1.11 |
| 17:00 | 63 | სერვეტი-ბაულმესი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 64 | ლოზანა-ლუგანო | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 66 | ალბინოლეფე-სპეცია | 2.15 | 2.70 | 3.65 | 1.19 | 1.35 | 1.55 |
| 17:00 | 67 | ბარი-ბოლონია | 2.55 | 2.70 | 2.80 | 1.31 | 1.33 | 1.37 |
| 17:00 | 68 | ჩეზენა-ტრევიზო | 1.90 | 2.70 | 5.00 | 1.11 | 1.37 | 1.75 |
| 17:00 | 70 | ჯენოა-არეცო | 1.50 | 3.30 | 7.50 | 1.03 | 1.25 | 2.29 |
| 17:00 | 72 | მანტოვა-ვიჩენცა | 1.65 | 2.90 | 6.30 | 1.05 | 1.30 | 1.98 |
| 17:00 | 73 | მოდენა-პესკარა | 1.75 | 2.80 | 5.50 | 1.07 | 1.32 | 1.85 |
| 17:00 | 74 | ნაპოლი-რიმინი | 1.60 | 3.20 | 6.00 | 1.06 | 1.26 | 2.08 |
| 17:00 | 75 | ტრიესტინა-პიაჩენცა | 1.95 | 2.70 | 4.50 | 1.13 | 1.36 | 1.68 |
| 17:00 | 76 | ვერონა-კროტონე | 1.80 | 2.80 | 4.80 | 1.09 | 1.30 | 1.76 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 117 | იგლზი-ეინდჰოვენი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 22:00 | 118 | ჰელმონდი-ზვოლე | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 22:00 | 119 | ჰაარლემი-დორდრეხტი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 22:00 | 120 | მაასტრიხტი-ვეენდამი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 22:00 | 121 | როზენდაალი-ვენლო | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 22:00 | 122 | ოსი-აპელდორნი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 22:00 | 123 | ვოლენდამი-ალმერე | 1.35 | 4.00 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.72 |
| 22:00 | 124 | კამბური-სტორმი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:00 | 125 | გრაფსხაპი-დენ ბოსხი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 22:00 | 126 | ემენი-ტელსტარი | 2.15 | 3.30 | 2.95 | 1.30 | 1.24 | 1.55 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 143 | ბრინი-ტრომსდალენი | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| 17:00 | 144 | ფოლო-მოსი | 2.40 | 3.70 | 2.45 | 1.45 | 1.21 | 1.47 |
| 17:00 | 145 | ჰიოდი-ლინ ჰამი | 2.40 | 3.70 | 2.45 | 1.45 | 1.21 | 1.47 |
| 17:00 | 146 | კონგსვინგერი-ჰაუგესუნდი | 1.75 | 3.70 | 4.00 | 1.18 | 1.21 | 1.92 |
| 17:00 | 147 | ჰონეფოსი-სპარტა ს | 2.00 | 3.70 | 3.10 | 1.29 | 1.21 | 1.68 |
| 17:00 | 148 | მანგლერუდი-სოგნდალი | 2.40 | 3.70 | 2.45 | 1.45 | 1.21 | 1.47 |
| 21:00 | 149 | სტრომსგოდსეტი-ალესუნდი | 2.00 | 3.30 | 3.45 | 1.24 | 1.26 | 1.68 |
| | | 9 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 150 | ბოდო გლიმტი-პორს გრენლანდი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 160 | სტ.პატრიკი-დროგედა | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| 22:45 | 161 | დუნდოლკი-ბრეი | 1.60 | 3.40 | 5.10 | 1.08 | 1.21 | 2.03 |
| 22:45 | 162 | უოტერფორდი-შელბურნი | 5.50 | 3.40 | 1.55 | 2.10 | 1.20 | 1.06 |
| 22:45 | 163 | დერი-ბოჰემიანსი | 1.50 | 3.50 | 6.20 | 1.04 | 1.20 | 2.23 |
| 22:45 | 164 | კორკი-ლონგფორდი | 1.33 | 4.30 | 7.50 | 1.01 | 1.12 | 2.73 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 206 | ბოტაფოგო-სანტა კრუზი | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 23:45 | 207 | კრუზეირო-ინტერნასიონალი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 208 | კორინთიანსი-სანტოსი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 242 | ლიხტენშტაინი-ავსტრია | 11.00 | 4.70 | 1.20 | 3.29 | 1.08 | 1.00 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 243 | ქუვეიტი-ბრაზილია | 15.00 | 6.00 | 1.13 | 4.28 | 1.05 | 1.00 |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 13:30 | 244 | ავსტრალია-პარაგვაი | 2.10 | 3.00 | 3.25 | 1.23 | 1.27 | 1.55 |
| 14:00 | 245 | სამხრეთ კორეა-განა | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 246 | იამაიკა-კანადა | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| | | ეჩ 2008 შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 219 | ბულგარეთი-სლოვენია | 4.80 | 3.30 | 1.70 | 1.95 | 1.25 | 1.12 |
| 22:15 | 220 | ხორვატია-ანდორა | 1.01 | 15.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 10.00 |
| 20:30 | 221 | კვიპროსი-ირლანდია | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 19:15 | 222 | ჩეხეთი-სან მარინო | 1.01 | 15.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 10.00 |
| 22:30 | 223 | საბერძნეთი-ნორვეგია | 2.05 | 3.10 | 3.50 | 1.23 | 1.29 | 1.64 |
| 21:45 | 224 | უნგრეთი-თურქეთი | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| 22:50 | 225 | იტალია-უკრაინა | 1.50 | 3.50 | 7.00 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 20:00 | 226 | მოლდოვა-ბოსნია | 2.85 | 3.00 | 2.35 | 1.46 | 1.28 | 1.31 |
| 23:45 | 227 | პორტუგალია-აზერბაიჯანი | 1.03 | 9.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 6.92 |
| 21:15 | 228 | რუმინეთი-ბელარუსი | 1.35 | 4.10 | 8.00 | 1.01 | 1.15 | 2.71 |
| 19:00 | 229 | რუსეთი-ისრაელი | 1.55 | 3.40 | 6.40 | 1.06 | 1.24 | 2.22 |
| 22:15 | 230 | სერბეთი-ბელგია | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 22:45 | 231 | ჰოლანდია-ლუქსემბურგი | 1.05 | 8.50 | 28.00 | 1.00 | 1.01 | 6.52 |
| 18:00 | 232 | უელსი-სლოვაკეთი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 19:00 | 233 | ყაზახეთი-პოლონეთი | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 18:00 | 234 | ფარერები-ლიტვა | 10.00 | 4.40 | 1.30 | 3.05 | 1.18 | 1.00 |
| 20:00 | 235 | სომხეთი-ფინეთი | 5.90 | 3.70 | 1.55 | 2.27 | 1.22 | 1.09 |
| 20:00 | 236 | ინგლისი-მაკედონია | 1.08 | 8.00 | 22.00 | 1.00 | 1.02 | 5.86 |
| 20:00 | 237 | შოტლანდია-საფრანგეთი | 5.20 | 3.40 | 1.65 | 2.05 | 1.25 | 1.11 |
| 22:00 | 238 | შვედეთი-ესპანეთი | 2.80 | 3.10 | 2.40 | 1.47 | 1.29 | 1.35 |
| 22:00 | 239 | დანია-ჩრდ.ირლანდია | 1.20 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| 22:00 | 240 | ლატვია-ისლანდია | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| | | ეჩ 2007 პლეი ოფი (21) | | | | | | |
| | | 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 248 | ჩეხეთი(21)-ბოსნია(21) | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 23:00 | 249 | ინგლისი(21)-გერმანია(21) | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:00 | 251 | იტალია(21)-ესპანეთი(21) | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 252 | რუსეთი(21)-პორტუგალია(21) | 2.60 | 3.10 | 2.55 | 1.41 | 1.28 | 1.39 |
| 17:00 | 253 | სერბეთი(21)-შვედეთი(21) | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 247 | ბელგია(21)-ბულგარეთი(21) | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 23:00 | 250 | საფრანგეთი(21)-ისრაელი(21) | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10219 | ბულგარეთი-სლოვენია | 5.30 | 2.10 | 2.05 | 1.50 | 1.47 | 1.03 |
| 10221 | კვიპროსი-ირლანდია | 6.00 | 2.40 | 1.75 | 1.71 | 1.35 | 1.01 |
| 10223 | საბერძნეთი-ნორვეგია | 2.45 | 2.00 | 3.85 | 1.10 | 1.49 | 1.31 |
| 10224 | უნგრეთი-თურქეთი | 3.50 | 2.00 | 2.60 | 1.27 | 1.49 | 1.13 |
| 10225 | იტალია-უკრაინა | 1.90 | 2.10 | 6.00 | 1.00 | 1.44 | 1.55 |
| 10226 | მოლდოვა-ბოსნია | 3.25 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.48 | 1.15 |
| 10228 | რუმინეთი-ბელარუსი | 1.75 | 2.40 | 6.50 | 1.01 | 1.37 | 1.75 |
| 10229 | რუსეთი-ისრაელი | 1.90 | 2.10 | 6.00 | 1.00 | 1.44 | 1.55 |
| 10230 | სერბეთი-ბელგია | 2.05 | 2.10 | 5.20 | 1.03 | 1.47 | 1.49 |
| 10232 | უელსი-სლოვაკეთი | 2.70 | 2.00 | 3.30 | 1.14 | 1.48 | 1.24 |
| 10233 | ყაზახეთი-პოლონეთი | 6.50 | 2.20 | 1.85 | 1.64 | 1.44 | 1.00 |
| 10235 | სომხეთი-ფინეთი | 5.50 | 2.20 | 1.95 | 1.57 | 1.43 | 1.03 |
| 10237 | შოტლანდია-საფრანგეთი | 5.50 | 2.00 | 2.05 | 1.46 | 1.49 | 1.01 |
| 10238 | შვედეთი-ესპანეთი | 3.15 | 2.00 | 2.85 | 1.22 | 1.49 | 1.17 |
| 10239 | დანია-ჩრდ.ირლანდია | 1.45 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.22 | 2.07 |
| 10240 | ლატვია-ისლანდია | 2.55 | 2.00 | 3.75 | 1.12 | 1.51 | 1.30 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11219 | ბულგარეთი-სლოვენია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11221 | კვიპროსი-ირლანდია | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 1.90 |
| 11223 | საბერძნეთი-ნორვეგია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11224 | უნგრეთი-თურქეთი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11225 | იტალია-უკრაინა | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11226 | მოლდოვა-ბოსნია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11228 | რუმინეთი-ბელარუსი | 1.70 | 15.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11229 | რუსეთი-ისრაელი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11230 | სერბეთი-ბელგია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11232 | უელსი-სლოვაკეთი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11233 | ყაზახეთი-პოლონეთი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 1.80 |
| 11235 | სომხეთი-ფინეთი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 2.00 |
| 11237 | შოტლანდია-საფრანგეთი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11238 | შვედეთი-ესპანეთი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11239 | დანია-ჩრდ.ირლანდია | 1.40 | 15.00 | 3.50 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11240 | ლატვია-ისლანდია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | მეტ. | ნაკ. |
|---|---|---|---|
| 12219 | ბულგარეთი-სლოვენია | 1.70 | 1.90 |
| 12221 | კვიპროსი-ირლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12223 | საბერძნეთი-ნორვეგია | 1.60 | 2.00 |
| 12224 | უნგრეთი-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 12225 | იტალია-უკრაინა | 1.70 | 1.90 |
| 12226 | მოლდოვა-ბოსნია | 1.60 | 2.00 |
| 12228 | რუმინეთი-ბელარუსი | 1.90 | 1.70 |
| 12229 | რუსეთი-ისრაელი | 1.70 | 1.90 |
| 12230 | სერბეთი-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 12232 | უელსი-სლოვაკეთი | 1.60 | 2.00 |
| 12233 | ყაზახეთი-პოლონეთი | 1.90 | 1.70 |
| 12234 | ფარერები-ლიტვა | 2.30 | 1.40 |
| 12235 | სომხეთი-ფინეთი | 1.70 | 1.90 |
| 12237 | შოტლანდია-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 12238 | შვედეთი-ესპანეთი | 1.60 | 2.00 |
| 12239 | დანია-ჩრდ.ირლანდია | 2.00 | 1.60 |
| 12240 | ლატვია-ისლანდია | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13219 | ბულგარეთი-სლოვენია | 1.70 | 1.90 |
| 13221 | კვიპროსი-ირლანდია | 1.90 | 1.70 |
| 13223 | საბერძნეთი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13224 | უნგრეთი-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13225 | იტალია-უკრაინა | 1.90 | 1.70 |
| 13226 | მოლდოვა-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 13228 | რუმინეთი-ბელარუსი | 1.90 | 1.70 |
| 13229 | რუსეთი-ისრაელი | 1.70 | 1.90 |
| 13230 | სერბეთი-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 13232 | უელსი-სლოვაკეთი | 1.70 | 1.90 |
| 13233 | ყაზახეთი-პოლონეთი | 1.90 | 1.70 |
| 13235 | სომხეთი-ფინეთი | 1.70 | 1.90 |
| 13237 | შოტლანდია-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 13238 | შვედეთი-ესპანეთი | 1.70 | 1.90 |
| 13239 | დანია-ჩრდ.ირლანდია | 1.90 | 1.70 |
| 13240 | ლატვია-ისლანდია | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14219 | ბულგარეთი-სლოვენია | 2.50 | 1.30 |
| 14221 | კვიპროსი-ირლანდია | 2.60 | 1.20 |
| 14223 | საბერძნეთი-ნორვეგია | 1.65 | 2.20 |
| 14224 | უნგრეთი-თურქეთი | 2.10 | 1.70 |
| 14225 | იტალია-უკრაინა | 1.30 | 2.40 |
| 14226 | მოლდოვა-ბოსნია | 2.00 | 1.80 |
| 14228 | რუმინეთი-ბელარუსი | 1.20 | 2.60 |
| 14229 | რუსეთი-ისრაელი | 1.30 | 2.50 |
| 14230 | სერბეთი-ბელგია | 1.35 | 2.50 |
| 14232 | უელსი-სლოვაკეთი | 1.80 | 2.00 |
| 14233 | ყაზახეთი-პოლონეთი | 2.60 | 1.25 |
| 14234 | ფარერები-ლიტვა | 2.90 | 1.03 |
| 14235 | სომხეთი-ფინეთი | 2.50 | 1.30 |
| 14237 | შოტლანდია-საფრანგეთი | 2.40 | 1.45 |
| 14238 | შვედეთი-ესპანეთი | 1.95 | 1.85 |
| 14239 | დანია-ჩრდ.ირლანდია | 1.04 | 2.90 |
| 14240 | ლატვია-ისლანდია | 1.75 | 2.10 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15219 | ბულგარეთი-სლოვენია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15221 | კვიპროსი-ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15223 | საბერძნეთი-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15224 | უნგრეთი-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15225 | იტალია-უკრაინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15226 | მოლდოვა-ბოსნია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15228 | რუმინეთი-ბელარუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15229 | რუსეთი-ისრაელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15230 | სერბეთი-ბელგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | უელსი-სლოვაკეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | ყაზახეთი-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | ფარერები-ლიტვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | სომხეთი-ფინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15237 | შოტლანდია-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15238 | შვედეთი-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15239 | დანია-ჩრდ.ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15240 | ლატვია-ისლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16219 | ბულგარეთი-სლოვენია | 3.20 | 1.25 |
| 16221 | კვიპროსი-ირლანდია | 4.00 | 1.12 |
| 16223 | საბერძნეთი-ნორვეგია | 1.45 | 2.35 |
| 16224 | უნგრეთი-თურქეთი | 2.20 | 1.50 |
| 16225 | იტალია-უკრაინა | 1.15 | 3.80 |
| 16226 | მოლდოვა-ბოსნია | 1.90 | 1.60 |
| 16228 | რუმინეთი-ბელარუსი | 1.12 | 4.40 |
| 16229 | რუსეთი-ისრაელი | 1.20 | 3.30 |
| 16230 | სერბეთი-ბელგია | 1.25 | 3.20 |
| 16232 | უელსი-სლოვაკეთი | 1.45 | 2.30 |
| 16233 | ყაზახეთი-პოლონეთი | 4.20 | 1.13 |
| 16235 | სომხეთი-ფინეთი | 3.20 | 1.20 |
| 16237 | შოტლანდია-საფრანგეთი | 3.10 | 1.25 |
| 16238 | შვედეთი-ესპანეთი | 1.90 | 1.60 |
| 16239 | დანია-ჩრდ.ირლანდია | 1.03 | 6.50 |
| 16240 | ლატვია-ისლანდია | 1.45 | 2.30 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17219 | ბულგარეთი-სლოვენია | 1.85 | 1.95 |
| 17221 | კვიპროსი-ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17223 | საბერძნეთი-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17224 | უნგრეთი-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17225 | იტალია-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17226 | მოლდოვა-ბოსნია | 1.85 | 1.95 |
| 17228 | რუმინეთი-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17229 | რუსეთი-ისრაელი | 1.85 | 1.95 |
| 17230 | სერბეთი-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 17232 | უელსი-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ყაზახეთი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ფარერები-ლიტვა | 1.85 | 1.95 |
| 17235 | სომხეთი-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17237 | შოტლანდია-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17238 | შვედეთი-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17239 | დანია-ჩრდ.ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17240 | ლატვია-ისლანდია | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## დუდუ დადიანის მემორიალი

# ფინალისტი ფინალისტები



ბუბა ლორთქიფანიძის ფოტო

ბესიკ ლეჟავამ რუსთაველები გვარიანად ანერვიულა

**მაკაბი 84:64 სსუ**

*20:9 22:18 17:18 25:19*

მაკაბი: დოლიძე (4), გ. შერმადინი (32), წოწელია (12), კორკოტაძე (12), ვაშაკიძე (10), ს. შერმადინი (14), ბარსეგიანი, გამცემლიძე, ერგემლიძე

სსუ: ჯიქია (6), პატარაია (6), ნინუა (14), აბულაძე (9), ურიდია (5), ფაცაცია (3), გოლეთიანი (13), ცერცვაძე (8)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ავიამშენი 100:59 სტუ**

*27:16 22:13 28:17 33:13*

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (7), ბაბიაშვილი (22), ხოშტარია (14), ნიკოლაძე (15), ი. ბერიშვილი (17), მუშკუდიანი (10), ნინიაშვილი (5), კეიდია (9), სუხიშვილი (1)

სტუ: სეფისკვერაძე (4), ბერაია (27), კოხრეიძე (5), მაისურაძე (7), დევაძე (7), ტუხაშვილი (2), ბარბაქაძე (7)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ გელოვანი

**თსუ 72:83 აზოტი**

16:26 29:23 19:13 8:21

თსუ: ბ. ბერიშვილი (14), ვეფხვაძე (9), შანიძე (8), არწივიძე (3), იმნაძე (13), მ. ბერიშვილი (12), სანიკიძე, მათიაშვილი, ფანჩულიძე, ლეჟავა (13)

აზოტი: გამყრელიძე (9), ბეჟანიშვილი (8), ბოისა (2), დიდია (2), ტულუში (16), მარკოიშვილი (24), უგრეხელიძე (13), გოგობერიშვილი (5), ტუჯანი (2), მინაშვილი (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

დუდუ დადიანის თასს ის გუნდები გაითამაშებენ, რომლებიც ერთმანეთს გასული ეროვნული ჩემპიონატის ფინალში ერკინებოდნენ — რუსთავის „აზოტი“ „ავიამშენის“ წინააღმდეგ და ვნახოთ, ამჯერად ვინ იმარჯვებს, ჩემპიონობა ხომ ავიატორებმა მოიგეს.

ლევან მოსეშვილის გუნდისაა ასევე დადიანის თასიც. შარშან სექტემბერში „ავიამშენმა“ სეზონი ამ ტიტულით გახსნა და ბრწყინვალე წელიწადი დაებედა. ახლა კი იმავეს გამეორება გაუჭირდება, რადგან მისი მეტოქე, გასულ სეზონთან შედარებით, გაცილებით მოღონიერებულია.

მაგრამ ერთიცაა — „ავიამშენმა“ სულ იოლად გააღწია ფინალში, გზად „დინამო“ და სტუ დაამარცხა, წინააღმდეგობა თითქმის არ შეხვედრია, ხოლო „აზოტმა“ გუშინ დიდი ბრძოლა გადაიტანა თსუ-სთან. რუსთაველებმა ბეწვის ხიდზე გაიარეს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ფიცხელი ბრძოლა კი არ გადაგღლის, არამედ, პირიქით, მოგაღონიერებს. „აზოტს“ ახლა, პირველ რიგში, შეთამაშება, რაც შეიძლება მეტი მატჩის გამართვა სჭირდება, რადგან შემადგენლობა საქებარი ჰყავს, მაგრამ პრაქტიკანაკლული.

ჰოდა, თსუ-სთან გადატანილი გუშინდელი ჯახი რუსთაველთათვის ზედგამოჭრილი იყო. სტუდენტებმა უდიდესი წინააღმდეგობა გაუწიეს ქვემოქართლელებს და ცოტაც რომ ეყოჩაღათ, გამარჯვებასაც არავინ დაამადლიდა.

„აზოტმა“ თავიდანვე გვარიანად ჩამოიტოვა თსუ და ბევრს აფიქრებინა, კლასში სხვაობა მართლაც დიდიაო. რუსთაველებს ყველა ფრონტზე ულხინდათ: ფარქვეშ დავით უგრეხელიძემ გაშალა ფრთები, უკანა ხაზში კი ჩვეულად აქტიურობდა და სამქულიანებით იკბინებოდა კოტე ტულუში. ნუგზარ ჭეიშვილმა უმალ ტანმაღალი დავით იმნაძე გამოიყვანა მოედანზე, მაგრამ ვერც მან და ვერც უკანა ხაზის სამარქაფოებმა ვერ მოახერხეს ვითარების გამოსწორება.

„აზოტმაც“ გაქუსლა და 23:9 ხომ დაწინაურდა, მეორე მეოთხედის დასაწყისში 15-ქულიან ლიდერობასაც გამოჰკრა ხელი. სწორედ აქ იცვალეს სახე სტუდენტებმა და მოულოდნელად ისე ათამაშდნენ, მათი გამჩერებელი რუსთაველთაგან არავინ მოიძებნა. მიხეილ ბერიშვილმა 2 ტყუპისცალი სამქულიანი გაისროლა, შორი მანძილებიდან ჩააგდეს ლეჟავამა და შანიძემაც.

დავით უსტიაშვილმა შეცვლებით სცადა ვითარების განმუხტვა, მაგრამ მოედანზე ძირითადი ხუთეულის წევრთა გამოჩენამ შედეგი მაშინვე ვერ გამოიღო. უგრეხელიძე, ბეჟანიშვილი და ბოისა სანამ დაცვით ჯებირებს აგებდნენ, სტუდენტებმა დაწინაურება მოახერხეს — პირველი ტაიმის დასრულებამდე ორიოდ წუთით ადრე ბუბა ბერიშვილის სამქულიანმა თსუ 45:44 წინ გაიყვანა.

ორიოდ წუთითო, იმიტომ ვთქვით, რომ გუშინ ტაბლოზე წამზომი ისევ არ მუშაობდა და არც მიკროფონი იყო მწყობრში, მსაჯთა მაგიდიდან მიმდინარე დრო რომ გამოეცხადებინათ. ამაზე პასუხისმგებელი დარბაზის ხელმძღვანელობაა, თუმც მისი დირექტორი მერაბ კეკელიძე თამაშებზე არ გამოჩენილა, ახსნა-განმარტება რომ გვეთხოვა. ასეთი გაუმართავი და მოუწესრიგებელი თუ იყო დარბაზის ინფრასტრუქტურა, ხელმძღვანელობას ტურნირის ორგანიზატორებისთვის სარბიელი არ უნდა მიექირავებინა, თუმც რას იზამ, ტურნირი დღე-დღეზე ჩამთავრდება და ქართული კალათბურთის ეპიცენტრი გაცილებით მოწესრიგებული სპორტის სასახლე გახდება.

თამაშს მივუბრუნდეთ, სადაც თსუ-მ 15-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ მოულოდნელად ლიდერობა მოიპოვა და მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მიჰყო ხელი უპირატესობის გამყარებას. თავი ისახელა ბესო ლეჟავამ, რომელმაც დიდოსტატური ბურთები ჩაუგდო რუსთაველებს და მესამე მეოთხედის დასრულებამდე... თუმც დრო ხომ არ ვიცით, თსუ 64:56 დაწინაურდა.

ეს უკვე სერიოზული სტუდენტური განაცხადი იყო, მაგრამ „აზოტი“ მალევე მოეგო გონს. უსტიაშვილმა ის ხუთეული გამოიყვანა მოედანზე, რომლითაც თამაში დაიწყო და ამან გაამართლა. ქვემოქართლელებმა დაცვა ისე გაამაგრეს, რომ მესამე მეოთხედის დასრულებამდე მეტოქეს ქულა აღარ გააკეთებინეს. თავად კი 6 მოიხვეჭეს და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ თსუ 2 ქულასღა იგებდა — 64:62.

თამაში განახლდა და რამაზ გოგობერიშვილმა საჭირო სამქულიანით რუსთაველებს ლიდერობა დაუბრუნა. თსუ-ც არ ჩამორჩა და შორიდან ბუბა ბერიშვილმა იხეირა.

ანგარიში ერთხანს 70:69-ზე გაიყინა, ქულას „აზოტი“ იგებდა და მერე რუსთაველებმა გაილაღეს. ხისტმა დაცვამ თავისი გაიტანა — ქვემოქართლელებმა მეტოქე კონტრშეტევებზე გამოიჭირეს და მოკლეხნიანი ეპიზოდი 10:0 მოუგეს. ამასობაში საფინალო სირენაც წამოგვეპარა და „აზოტის“ ფინალისტობაც გაცხადდა.

დუდუ დადიანის სათასო მატჩი პარასკევს 16საათზე დაიწყება, დღეს კი არჩევნების ხათრით დასვენებაა.

**ირაკლი პერტაია**



# ხმა შაკისა NBA-სა შინა

## აურზაური ბურთის გამო

**ოკეანისგაღმა** დიდი აურზაურია ატეხილი ახალი საკალათბურთო ბურთების გამო. ამ სიახლის შემოტანისთვის მოთამაშეთა ნაწილმა უკვე სასტიკად გააკრიტიკა ნბა-ს ხელმძღვანელობა. შაკილ ონილი კი ბურთის შემქნელებსაც გადასწვდა და გვარიანდაც გამოლანძღა, თუმც მივყვეთ თანმიმდევრობით.

ნბა-მ არსებული, ჩვეულებრივი ბურთების ახალი, მიკროფიბრისგან დამზადებული ბურთებით ჩანაცვლება გადაწყვიტა. სხვათა შორის, ნბა თავისი არსებობის განმავლობაში უკვე მეორედ ცვლის ბურთებს. პირველად ეს 35 წლის წინ მოხდა, თუმც სიახლემ მოთამაშეთა სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც არავინ ელოდა.

„ჩემი აზრით, ეს ბურთები უბრალოდ საზიზღრობაა. ამაზე უარესის მოგონება არც შეიძლება. იმ უბრალო და დაბალი ხარისხის ბურთებს ჰგავს, სათამაშოების მაღაზიებში რომ იყიდება. ვფიქრობ, შედეგიანობა და ბურთის ჩავარდნის პროცენტული მაჩვენებელი იკლებს, თამაშში უფრო გახშირდება უაზრო დაკარგვები. ვისაც ეს აზრად მოუვიდა, ნაღდად სამსახურიდანაა გასაგდები — ამაზე სულელურს ვერაფერს გამოიგონებდა. წარმოიდგინეთ, ვიღაცას სახელის მოხვეჭა მოუნდა, ჩვენ კი უნდა ვიწვალოთ“ — ეს გაბრაზებული კაცი დევშაკია.

„დიზელს“ კვერს მისი თანაგუნდელებიც უკრავენ. თავის „დიდ ძმას“ გასული ფინალის MVP დუეინ ვეიდიც გამოეხმაურა. სხვათა შორის, ვეიდს უკანასკნელ ოთხ თვეში მესამე განსხვავებული ტიპის ბურთით მოუწევს თამაში — ნბა-ს ფინალებში ძველი ბურთებით ითამაშა, მსოფლიო ჩემპიონატზე ევროპელთათვის ჩვეულებრივ და ამერიკულთან შედარებით პატარასთან შეგუება მოუხდა, რასაც ნახევარი ზაფხული მოანდომა, ახლა კი მიკროფიბრისას უნდა შეეჩვიოს: „ეს არც ისე იოლი იქნება და, სავარაუდოდ, სავარჯიშო დარბაზში გატარებული ზედმეტ საათებად დამიჯდება. მაგრამ რა ვქნა, სხვა გამოსავალი ნაღდად არ არის“.

მაიამელებს კვერს უკრავს გასული ორი რეგულარული ჩემპიონატის MVP სტივ ნეშიც, თუმც კანადელი ნაკლებად რადიკალურია: „ამ ბურთების გადამკიდეს თითების გალოკვა აღარ დაგვჭირდება — ისედაც გეკრობა და ძლივს იშორებ. ეგ კი არა, რომ სველდება, პარკეტიდანაც ცუდად ხტუნავს, თითქოს იმასაც ეწებება, მაგრამ რას იზამ, მაინც უნდა მივეჩვიოთ“.

როგორც ხედავთ, მოთამაშეებმა ლამისაა სასამართლოში ჩივილი დაიწყონ, თუმც ამ კრიტიკამ ნბა-ს ხელმძღვანელობაზე ვერანაირი გავლენა ვერ იქონია.

„ნამდვილად გასაკვირია ამდენი ნეგატიური კომენტარის მოსმენა — განაცხადა ნბა-ს საკალათბურთო ოპერაციების აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა, სტიუ ჯექსონმა — მაგრამ ვისზეც ახალი ბურთი გამოვცადეთ, ცუდი არავის დაცსდენია და ეს მოთამაშეები ასე რამ აღაშფოთა, მაინც ვერ გავიგეთ. ამ ბურთებს ნამდვილად არ დავნერგავდით, უკეთესი რომ არ იყოს“.

კალათბურთელთა ეს პროტესტი კიდევ უფრო მოულოდნელი იყო იმიტომ, რომ ასეთი ბურთები ბოლო ორ ოლსტარზე (ყველა ვარსკვლავის მატჩზე) გამოიყენეს და ამიტომ იგივე შაკსაც ამ ბურთებით თამაშის მცირე გამოცდილება უკვე აქვს. თან მათ ბურთებს უკვე რამდენიმე წელია, რაც NCAA-ში (საკოლეჯო ლიგა) და ქვედა ლიგებში იყენებენ და მომავალი თაობებიც შეგუებულნი არიან.

მოკლედ, შაკმა და სხვა სუპერვარსკვლავებმა რამდენიც არ უნდა იყვირონ, მაინც ვერაფერს შეცვლიან და დამდეგი სეზონიდან ამ ბურთებთან შეგუება მოუწევთ.

**კახა ლომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უწესო წესების გამოძახილი

## ფილა + საქართველო = მედალი


თემურ ყაზარაშვილი და ბეგი დარჩია

ჩინეთმოვლილმა მოჭიდავეებმა გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში მიგვიწვიეს. მსოფლიოს ჩემპიონატის პერიპეტიები ნაკრების მწვრთნელებმა ბეგი დარჩიამ და ზაზა თურმანიძემ, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ყაზარაშვილმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ედიშერ მაჩაიძემ და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გია გალდავამ შეაფასეს. პრესკონფერენციას სწორედ **გია გალდავა** გაუძღვა და პირველი სიტყვაც მისი იყო:

„გუანჯოუში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენი ნაკრებებისთვის უხვმოსავლიანი გამოდგა. ერთ მსოფლიოზე ხუთი ქართველი აქამდე არასოდეს ასულა კვარცხლბეკზე. მართალია, უმაღლესი ჯილდო ვერც ერთმა ვერ მოიპოვა, მაგრამ ამის გამო განგაშის ატეხვა არაა საჭირო. ტურნირმა თვალნათლივ დაგვანახა ჩვენი მოჭიდავეების ძალა. ამჯერად არ გაგვიმართლა, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, ოქროს მედლებს მომავალ დიდ ტურნირებზე მოიპოვებენ. პეკინის ოლიმპიადის ოთხწლიანი ციკლი აუცილებლად გამარჯვებით დასრულდება.

... ყველაზე მძიმე დარტყმები ბადრი ხასაიასა და რამაზ ნოზაძის უმედლოდ დარჩენა იყო. ნოზაძეს ტრავმის გამო ლამის ორი წელი გაუცდა და ამის მიუხედავად, კვარცხლბეკამდე სულ ცოტა დააკლდა. მას არა თუ ბრინჯაოს, არამედ ოქროს მედლის რეალური შანსი ჰქონდა — ნახევარფინალში მომგებიანი ილეთი ბოლო წამზე გააკეთა და არ ჩაეთვალა. მსაჯებმა გადაწყვიტეს, რომ ვერ მოასწრო. იმ ეპიზოდს აღარ გამოვეკიდებით. ხასაიას ბრინჯაოს გარეშე დარჩენა კი არა თუ შეცდომის, არამედ წინასწარ გამიზნული არაობიექტურობის ბრალი იყო. უბრალოდ, გადაწყვიტეს, რომ მედალი რუს მიშინს უნდა რგებოდა. რომ ვერ მოიგო, ძალით ჩამოჰკიდეს. ადვილი წარმოსადგენია, ეს უსამართლობა ბადრისთვის რამხელა ტრავმაა, მაგრამ მინდა, შევაგულიანო, ამ შემართებით და ასეთი ჭიდაობით სამომავლოდ აუცილებლად ოქროს აიღებს.

... მადლობა ყველას, ვინც ჩინეთში გაგვახარა. აქვე არ შეიძლება, არ ვახსენო გუნდის მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი, კაცი, ურომლისოდაც ქართული წარმატებები ლამის წარმოუდგენელია. იგი გუნდის სული და გულია და მუდამ კულისებს მიღმა რჩება."

არაობიექტური მსაჯობის თემას პრესკონფერენციის ბოლომდე არ დაუკარგავს აქტუალურობა.

*ბეგი დარჩია:* „როგორც ყოველთვის, ამ პრობლემას ვერც ახლა ავცდით. სამწუხაროდ, გაფუჭებულ შეხვედრებზე ხშირად გვიწევს ლაპარაკი და შეიძლება, ხალხმა იკითხოს — რაღა მაინცდამაინც სულ ჩვენებს ჩაგრავენო. არაობიექტურობა სხვებსაც აზარალებთ და ისინიც ჩვენსავით გამოთქვამენ პროტესტს. საქმე ისაა, რომ ამ პროტესტით ვერაფერს ვაღწევთ. საერთაშორისო ფედერაცია რომ ცოტა ყურადღებით ეკიდებოდეს ამ პრობლემას და მისი გადაჭრით რეალურად იყოს დაინტერესებული, მაშინ მსაჯები ამდენს ნამდვილად ვერ გაბედავდნენ. რეალობა სულ სხვაა. ფილა თავად კარნახობს მსაჯებს, ვინ უნდა დაჩაგრონ. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი თავად მსაჯებს სჯის. ჭიდაობის დაწყებამდე მსაჯების ვინაობას რომ შევიტყობთ ხოლმე, წინასწარვე ვიცით, იმ შეხვედრას ვინ მოიგებს."

დარჩიას მხარი ყაზარაშვილმაც აუბა — ხასაიას ბრინჯაოს ბრძოლის დაწყებამდე, პოლონელი მსაჯი რომ დავინახე, მაშინვე ვთქვი პირდაპირი ეთერით, რომ კარგს არაფერს მოველოდი.

კლასიკოსების თავკაცი თავისი შვიდეულის რეალური ძალის დამტკიცებას მომავალ წელს, მსოფლიოს თასზე ელის. ჩინეთში მოპოვებულმა გუნდურმა მეოთხე ადგილმა საქართველოს ნაკრებს უპრესტიჟულესი გუნდური ტურნირის საგზური გაუნაღდა. პირველ მეტოქედ ბეგი დარჩიამ რუსეთის ნაკრები ისურვა.

ედიშერ მაჩაიძემ გუანჯოუს ხალიჩაზე რამდენიმე უმნიშვნელოვანესი შეხვედრა განსაჯა. სწორედ მისი მსაჯობისას დაასრულეს ოქროზე ფიქრი ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა არმენ ნაზარიანმა და რვაგზის ევროპის ჩემპიონმა ჰამზა იერლიქაიამ.

„იმ ბრძოლებს პროტესტები მოჰყვა, მაგრამ გარწმუნებთ, უსამართლობას ადგილი არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონია — გვითხრა მაჩაიძემ — როცა ეპიზოდი საკამათო ხდება, ვიდეოჩანაწერს ნახულობენ ხოლმე. თუ სამივე მსაჯმა ერთნაირად დააფიქსირა ილეთი, უმრავლეს შემთხვევაში ამ გადაწყვეტილებას წყალი არ გაუვა, თუმცა წლეულს ფილამ ეგრეთ წოდებული მეოთხე თვალი დაამატა. ეს არის ინსტრუქტორი, რომლის შეფასებაც სამივე მსაჯის დანახულს ერთად გადაწონის. ინსტრუქტორი, როგორც წესი, შეხვედრაში ძალიან იშვიათად ერთვება. ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ მისი ჩარევის შემდეგ წააგო კვირკველიამ. არადა, მსაჯები სხვაგვარად ფიქრობდნენ. ბადრი ხასაია რომ დაიჩაგრა, ამას მეც ვეთანხმები. ან კი რაღა მტკიცება უნდა, ყველაფერი თვალნათლივ ჩანდა."

ქართველმა მსაჯმა ფილას ერთი უცნაური წესიც ახსენა. დაჩაგრული მოჭიდავის მწვრთნელებს უფლება აქვთ, წერილობითი პროტესტი შეიტანონ, მაგრამ ცამდე მართალნიც რომ იყვნენ, შედეგს ალარავინ შეცვლის. მაქსიმუმ, მსაჯი დასაჯონ. ამით კი საქმეს რომ არ ეშველება, მწვრთნელებმა იქვე აღნიშნეს. ყოველთვის გამოიძებნება მსაჯი, რომელიც იმ დასჯილი კოლეგის გზას გააგრძელებს.

მაჩაიძის თქმით, საჭიდაო წესების შეცვლას 2008 წლის ოლიმპიადამდე ნაკლებად უნდა ველოდოთ. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ჩვენდამი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ერთადერთ გზად ამ ორგანიზაციის შეფების გულის მოგებაღა რჩება. ჩვენი ფედერაციაც ცდას არ აკლებს ამ მიმართულებით. ქართულ დელეგაციას ჩინეთში მოჭიდავეთა პირველკაცისთვის, რაფაელ მარტინეტისთვის, სპეციალური მოსაწვევიც ჩაუტანია და შეაძლოა, ეს შვეიცარიელი მომავალ წელს თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე დასასწრებად ჩამობრძანდეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### კურტანიძისთვის მძიმე მძიმეა

ნაპრესკონფერენციევს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თავკაცს თავისი შეგირდების გამოსვლის შეფასება ვთხოვეთ.

*ზაზა თურმანიძე:* „მწვრთნელი ვარ და, რა თქმა უნდა, ყოველთვის უკეთესი და უკეთესი მინდა, თუმცა სამი ვერცხლის მედალიც საკმაოდ კარგი შედეგია. ყველაზე ახლოს ოქროსთან ოთარ თუშიშვილი (66 კგ) იყო და საწყენია, შანსი რომ ვერ გამოიყენა. რევაზ მინდორაშვილმა (84 კგ), როგორც ყოველთვის, ახლაც ვაჟკაცურად იბრძოლა და ფინალშიც გავიდა, მაგრამ იქ რუს საჯიდოვთან დამარცხდა. ამ რუსს შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარფინალში აჯობა. ახლა კი...

რუსთან დაკარგა ოქრო გიორგი გოგშელიძემაც (96 კგ). ჰაჯიმურატ გაცალოვთან ზედიზედ მეორე დიდ ტურნირზე დამარცხდა და სამომავლოდ, ალბათ, მეტი მობილიზება გვმართებს. გოგშელიძის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ძლიერი სპარინგპარტნიორების არარსებობაა. მით უმეტეს, როცა გიორგის გორში უწევს ვარჯიში და ცხოვრება. მისი თბილისში გადმოსვლის საკითხი ფედერაციის გეგმებშიცაა და იმედია, მალე მოგვარდება.

... დავით პოლოსიანის (60 კგ) ნაკრებში დაბრუნება წარმატებული ვერ გამოდგა. სამწუხაროდ, 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში სხვა წონებზე მეტად გვიჭირს შიდა კონკურენციის მხრივ. გელა სალირაშვილს (74 კგ) ისეთი წინასაჩემპიონატო პერიოდი ჰქონდა, ჩინეთში მისგან მეტს ველოდი. კარგად დაიწყო, მაგრამ მერე ევროპის პრიზიორთან დამარცხდა. ბესიკ გოჩაშვილი (55 კგ) პირველსავე წრეში ოლიმპიურ ჩემპიონს გადაეყარა და ვერაფერს გახდა.

... ლუკა კურტანიძისთვის ეს მსოფლიოს ჩემპიონატი მძიმე წონაში პირველი იყო. რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, მაგრამ მედლამდე მაინც ვერ მივიდა. ერთი შეხედვითაც ჩანს, კურტანიძეს მასით სჯობნიან. ამ პრობლემის მოგვარება კი ძალიან ძნელია. ვერ გეტყვით, მომავალშიც მძიმე წონაში დარჩება თუ ისევ 96 კილოგრამში ჭიდაობას გადაწყვეტს.

## რატომ მოკლეს ქართველი მოსკოვში?

გუშინ მოსკოვში ყოფილი მკლავჭიდელი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი გიორგი გვიჩიანი მოკლეს. როგორც რუსული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, მოკლულის ნათესავების მტკიცებით, დანაშაული რუსმა სკინჰედებმა ჩაიდინეს და მკვლელობის მიზეზი საქართველოსა და რუსეთს შორის გართულებული პოლიტიკური ვითარება და ამ ნიადაგზე წარმოშობილი კამათი იყო.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს **ერეკლე გურჩიანს** ვთხოვეთ:

— გია გვიჩიანი აქტიურ სპორტს 8-10 წლის წინ ჩამოშორდა. იქამდე საქართველოში ერთ-ერთ უძლიერეს მკლავჭიდელად ითვლებოდა. საქართველოს ჩემპიონიც გახდა. ევროპის ჩემპიონატზე კი ვერცხლის მედალი აიღო.

**— მოსკოვში როდის წავიდა?**

— როცა მკლავჭიდს ჩამოშორდა, რუსეთში მაშინ გაემგზავრა.

**— რას საქმიანობდა?**

— ვერ გეტყვით. ალბათ, რაიმე ბიზნესში იყო ჩართული.

**— მას შემდეგ გქონდათ მასთან ურთიერთობა?**

— არავითარი, არც მე და არც ჩვენს მკლავჭიდელებს.

**— ვისგან შეიტყვეთ მისი მკვლელობის შესახებ?**

— ახლობლებმა მითხრეს, მერე კი ტელევიზიით.

**— არის ვერსია, თითქოს ქართულ-რუსული პოლიტიკის გამო მოუვიდა კონფლიქტი...**

— ვერაფერს გეტყვით.



**მსოფლიოს ჩემპიონატი სანტო დომინგო**
**დომინიკის რესპუბლიკა. 30 სექტემბერი – 7 ოქტომბერი**

## თურქმა ჩინური კედელი გაანგრია

**შორეულ** კარიბეთში, დომინიკის რესპუბლიკის მთავარქალაქ სანტო დომინგოში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე კვლავაც ჩინელები ბატონობენ, თუმცაღა გუშინ, ჩვენი დროით შუაღამისას მათ ჰეგემონიას ცოტა არ იყოს, წყალი შეუყენა თურქმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა თანერ საგირმა, რომელმაც 77 კილოგრამიან კაცთა ჭიდილში ჩინელთა მსოფლიოს ჩემპიონს ლი ხუნლის ორჭიდის ჯამში 2 კილოგრამით აჯობა.

არადა, პირველი მოძრაობის, ატაცის შემდეგ ერთი კილოგრამით ხუნლი იყო წინ, მაგრამ აკვრაში თურქმა ივარგა და ორი წლის წინათ ათენში მოპოვებულ ოლიმიურ ოქროს მსოფლიოსიც დაამატა.

ჩინელები კი მაინც არ დარჩნენ ოქროს გარეშე. თუ კაცთა შორის ცისქვეშეთის შვილებს კიდევ უწევენ კონკურენციას, ქალებში ჩინელებს სრული უპირატესობა აქვთ და ეს 48-კილოგრამიან დიაცთა შეჯიბრშიც კარგად გამოჩნდა — ციუ ხიუნ მეიმ ატაცში ერთი კილოგრამი კი წააგო რუს სვეტლანა ცარუკაევასთან, მაგრამ მერე რუსზე ხუთი კილოგრამით მეტი აჰკრა და სანტო დომინგოში გათამაშებული ქალთა მესამე ოქროც ჩინეთის გზას გაუყენა.

**კაცები**

77 კგ

| | |
|---|---|
| 1. თანერ საგირი (თურქეთი) | 361 კგ (166+195) |
| 2. ლი ხუნლი (ჩინეთი) | 359 კგ (167+192) |
| 3. არა ხაჩატურიანი (სომხეთი) | 357 კგ (165+192) |

**ქალები**

58 კგ

| | |
|---|---|
| 1. ციუ ხიუნ მეი (ჩინეთი) | 237 კგ (107%130) |
| 2. სვეტლანა ცარუკაევა (რუსეთი) | 233 კგ (108+125) |
| 3 კამეიამ ვანდი (ტაილანდი) | 230 კგ (100+130) |

# სტივენსონი დევიძის ბადეში გაიხლართა



ალექსანდრა სტივენსონი

**ლეგენდარული** კალათბურთელის ჯულიუს ირვინგის, იგივე „დოქტორ ჯეის“ უკანონო ქალიშვილი ალექსანდრა სტივენსონი ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ჩოგბურთელად მიიჩნეოდა და 2002 წელს უიმბლდონის ნახევარფინალსაც კი უწია, მაგრამ მერე მისი საქმეები უკან-უკან წავიდა და ახლა, კლასიფიკაციის სადღაც მეხუთე ასეულში მყოფი უიმბლდონს ვინ ჩივის და WTA-ის ეგიდით გამართულ ტურნირებზე ცდილობს სარეიტინგო ქულების მოპოვებას.

ერთ-ერი ასეთი შეჯიბრი, რომლის საპრიზო ფონდიც 50 ათასი დოლარია, ამ დღეებში ამერიკული ტროის ჰარდზე ტარდება და „დოქტორ ჯეის“ გოგო ამ შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრას საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობდა. სტივენსონმა პირველი საკვალიფიკაციო წრე გაიარა კიდეც, მაგრამ მეორეში სალომე დევიძე შეხვდა და 20 წლის ქართველმა, ვინც ამერიკელზე ლამის 200 ადგილით დაბლაა რეიტინგში, სტივენსონს წინ წასვლის საშუალება არ მისცა — პირველ სეტში დევიძე 5:4-ს იგებდა, როდესაც შავტუხა ამერიკელმა თამაში შეწყვიტა და ჩვენებური საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნით, მესამე წრეში გავიდა.

ძირითად ბადეში მოსახვედრ გადამწყვეტ შეხვედრას დევიძე კიდევ ერთ ამერიკელთან, კლასიფიკაციაში 360-ე ადგილზე მყოფ 17 წლის მერი გემბელთან ჩაატარებს, რომელმაც მანამდე ჯერ თანამემამულე ჯენიფერ მეიბლის მოუგო 1:6 6:4 6:0, ხოლო შემდეგ ბულგარელი სვეტლანა კრივენჩევა ასევე სამ სეტში 6:1 4:6 6:0 დაამარცხა.

ტროიში მყოფი მეორე ქართველი, რეიტინგის 293-ე ნომერი სოფო მელიქიშვილი ძირითად ბადეშია და პირველ წრეში ასევე ამერიკელს, კლასიფიკაციაში თავისზე 21 ადგილით წინ მყოფ 26 წლის ტიფანი დებიკს შეხვდება.

# ჯერ ბიჭი ვარ, დავკაცდები

| კაცები<br>ტოკიო. იაპონია. ჰარდი<br>საპრიზო 765 000 $ |
|---|

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 7:6 7:6; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 6:3 6:4; **ალექსანდერ ვასკე** (გერმანია) — ბიორნ ფო (11, გერმანია) 6:4 6:4; **ტაკაო სუძუკი** (იაპონია) — პარადორნ შრიჩაპანი (ტაილანდი) 7:6 6:7 6:4; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ენდი მიურეი (4, ბრიტანეთი) 6:3 7:6; **ბენჯამინ ბეკერი** (14, გერმანია) — დ‌ანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:2 6:1; **ხუან მონაკო** (12, არგენტინა) — ედგარდო მასა (არგენტინა) 7:6 6:3; **იარკო ნიემინენი** (5, ფინეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 7:5 7:6; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — პოლ გოლდსტაინი (16, აშშ) 6:3 6:2; **მარიო ანჩიჩი** (3, ხორვატია) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:1 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (6, რუსეთი) — ვანგ იე ცუ (ტაივანი) 6:3 5:7 7:5; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (9, სამხრეთ აფრიკა) — კრისტიან პლესი (დანია) 7:5 6:1; **ვინსენტ სპადეა** (15, აშშ) — სატოში ივაბუჩი (იაპონია) 2:6 6:2 6:0; **ტომი რობრედო** (2, ესპანეთი) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:4 6:1

| კაცები<br>მეცი. საფრანგეთი. ჰარდი (დარბაზი)<br>საპრიზო 380 000 $ |
|---|

**პირველი წრე**

**პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4 5:7 6:4; **რუბენ რამირეს-იდალგო** (ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (7, ესპანეთი) 6:3 6:3; **ტობიას კლემენსი** (გერმანია) — ოლივიე პატიენსი (საფრანგეთი) 7:5 6:7 6:3; **რიშარ გასკე** (5, საფრანგეთი) — სერგი სტახოვსკი (უკრაინა) 6:3 6:1; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 6:4 1:6 7:6, **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 7:6 6:2

| ქალები<br>შტუტგარტი. გერმანია.<br>ჰარდი (დარბაზი) |
|---|

საპრიზო 650 000 $

**პირველი წრე**

**ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 4:6 6:0 6:3; **შაჰარ პეერი** (ისრაელი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:3 6:3; **დინარა საფინა** (7, რუსეთი) — მარა სანტანჯელო (იტალია) 6:1 5:7 7:6; **ანა-ლენა გრონეფელდი** (გერმანია) — ტატიანა მალეკი (გერმანია) 6;3 2:6 6:0; **მარტინა მიულერი** (გერმანია) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 6:0 7:6

| ქალები<br>ტოკიო. იაპონია. ჰარდი<br>საპრიზო 175 000 $ |
|---|

**პირველი წრე**

**იუნრი ნამიგატა** (იაპონია) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:2 1:6 6:4; **პაოლა სურესი** (არგენტინა) — ლუსი შაფაროვა (7, ჩეხეთი) 6:4 6:4; **იულია ფედოსოვა** (საფრანგეთი) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:1 6:2; **კამილ პინი** (საფრანგეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:1 (უარი); **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 7:5 6:3; **ვანია კინგი** (აშშ) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) 6:4 6:3; **აი სუგიამა** (2, იაპონია) — ემა ლეინი (ფინეთი) 6:4 6:3

**მეორე წრე**

**იუნგ-იან ჩანი** (ტაივანი) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 6:1 6:0

| ქალები<br>ტოკიო. იაპონია. ჰარდი<br>საპრიზო 145 000 $ |
|---|

**მეორე წრე**

**მარია ელენა კამერინი** (1, იტალია) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:1 6:3; **იროდა ტულიაგანოვა** (უზბეკეთი) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:4 6:1; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — ელენა ვესნინა (2, რუსეთი) 3:6 6:4 6:4

ძალიან მძიმედ გამოიყურებოდა თავის პირველ იაპონურ შეხვედრაში როჯერ ფედერერი. მართალია, შვეიცარიელს არა ერთხელ უთქვამს, ჩემთვის უცნობ ჩოგბურთელებთან თამაში ყველაზე მეტად არ მიყვარსო, მაგრამ აქამდე მთლად უცნობ ვიქტორ ტროიცკისთან ამდენად თუ გაუჭირდებოდა, ვერავინ წარმოიდგენდა. ასე განსაჯეთ, ახალგაზრდა სერბი ორი სეტი თანაბრად ეომა თანამედროვე ჩოგბურთის პირველკაცს და ორივეში ტაიბრეიკამდე მიიყვანა საქმე. თუმც მერე ტროიცკი ვერაფერს გამორჩა, ბალკანელისთვის ესეც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

„მხიარული როჯერს“ გული ალბათ იმანაც დასწყვიტა, რომ ენდი მიურეისთან ანგარიშის გასწორების საშუალება არ მიეცემა. რატომ მაინცდამაინც მიურეისთან? იმიტომ, რომ წლეულს დიადმა ალპელმა სულ ხუთი მატჩი წააგო, ბოლო მარცხი კი სწორედ ახალგაზრდა შოტლანდიელისგან იწვნია ცინცინატიში. (წინა ოთხი კი ფედერერმა, რა თქმა უნდა, თავის კოშმარად ქცეულ ნადალთან დათმო).

მიურეის კი ამ ბოლო დროს სერიოზული ჩავარდნა აქვს. აკი ბანგკოკშიც პირველივე წრეში გავარდა და ტოკიოშიც იგივე გაიმეორა — ამჯერად გამოცდილმა ირჟი ნოვაკმა წააქცია და ამისთვის ორ სეტზე მეტი არ დასჭირვებია.

„ყველა ახლაგაზრდა მოთამაშეს აქვს ხოლმე ჩავარდნები და არც მე ვარ გამონაკლისი. ყველა ტურნირზე ჩემგან ფინალში ან ნახევარფინალში თამაშს ნუ ელით. ამის გაკეთება დღესდღეობით არავის შეუძლია, თუ რა თქმა უნდა როჯერ ფედერერი ან რაფაელ ნადალი არ ხარ. მათ დონემდე კი მე ჯერ ბევრი მიკლია, ასე რომ ეს წაგებები ნურავის გაუკვირდება“ — ეს თქვა ნამატჩევს მიურეიმ.

ტოკიოში თამაშს გააგრძელებს მეორე ნომერი ტომი რობრედოც, რომელმაც ტაივანელ ლუს გადაუარა. თუმც კიდევ რამდენ ხანს შემორჩება ესპანელი იაპონიის დედაქალაქს, ძნელი სათქმელია — თამაში ხომ ჰარდზეა, აქ კი პირინეელი არასოდეს ბრწყინავდა.

მეცში კი კვლავაც ფრანგთა მასიური იერიში გრძელდება, რომელმაც უკვე ბლომად ფავორიტები შეიწირა. გუშინ წაგებულთა სიას კიდევ ერთი სერიოზული სახელი — მეორე ნომერი ხუან-კარლოს ფერერო შეემატა, რომელიც ჟულიენ ბენეტომ გააკრა კორტს. სამაგიეროდ, აგრძელებს ჩოგნის ქნევას მასპინძელთა კერპი რიშარ გასკე, რომელსაც აქ გამარჯვება ამოუჭრია გულს.

შტუტგარტში კი უმთავრესი ფავორიტები კვლავაც ისვენებენ. თუმც ტურნირზე მაინც საინტერესო ჯახები გაიმართა, რომელთაგან დინარა საფინას მინი-გმირობაა გამოსაყოფი. არადა, თავიდან რუსმა მარა სანტანჯელოს უბრალოდ გადაურა და პატარა მოდუნდა თუ არა, მაშინვე კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა — იტალიელმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე სამი მატჩ-პოინტიც ჰქონდა. მაგრამ საფინამ შეძლო ამ პრობლემების დაძლევა და წვალებით, მაგრამ მეორე წრეს მაინც უწია.

**ბაჩა ლომაძვილი**







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი, ორი, სამი...

## ჰატონის ფიქრები: საუკეთესო ვიქნები

**ამას** წინათ უეინ რუნის მიერ საჩხუბრად გაწვეულმა რიკი ჰატონმა ენა ამოიდგა და თავის ამბიციებზე ალაპარაკდა. თურმე ნუ იტყვით და ბრიტანელს პლანეტის საუკეთესო მოკრივედ გახდომა ამოუჭრია გულს. ამისთვის ჰატონი 2007, წელს სამი ბრძოლის გამართვას აპირებს — 13 იანვარს IBF-ის ვერსიით ჩემპიონ ხუან ურანგოს შეხვდება. წარმატების შემთხვევაში, მოპოვებულ ტიტულს მსუბუქ წონაში ექსჩემპიონ ხოსე ლუის კასტილიოსთან დაიცავს — ეს სავარაუდოდ მომავალი წლის მაის-ივნისში მოხდება, ბოლოს კი 2007 წლის მეორე ნახევარში ბრიტანელი ნახევრად საშუალო წონაში ასვლას და სპეციალისტთა მიერ თანამედროვეობის უძლიერეს მოკრივედ შერაცხულ ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან დაჯახებას აპირებს.

„ჩემი მიზანი რეიტინგში პოზიციის გაუმჯობესებაა. შემდეგ მსოლიფოს ნომერ პირველ მოკრივედ მინდა ვიქცე. ცუდია, წლეულს რომ აღარ მომიწევს რინგზე გასვლა, მაგრამ მომავალ წელს აუცილებლად სამჯერ ვიჩხუბებ. ჯერ ურანგოს შევხვდები და ალბათ მისი დამარცხება გამიჭირდება, რადგან ის ტაისონია მინიატურაში და მაგარი ცაციაც აქვს, მაგრამ გამარჯვებას მაინც შევძლებ. კასტილიო რეიტინგში ჩემზე მაღლა დგას და მისი დამარცხება პოზიციის გაუმჯობესებაში მაგრად დამეხმარება“.

ამის შემდეგ ჰატონის გეგმით მეივეზერის ჯერი უნდა დადგეს:

„მეივეზერი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ჩემნაირ მოკრივესთან არასოდეს უჩხუბია. ჩემს დასამარცხებლად მას ძლიერი დარტყმა დასჭირდება, ამას კი ნაღდად ვერ მოახერხებს. აი, ჩემი მუშტები რომ მოხვდება, აღფრთოვანებაში ნამდვილად არ მოიყვანს — სწორედ ამ უპირატესობის გამოყენებას ვეცდები“.

ჰატონი ასე კი ტრაბახობს, მაგრამ მეივეზერთან, ოსკარ დე ლა ჰოიათი დაწყებული და არტურო გატით დამთავრებული, ბევრს დასცდენია ფეხი და სასწაული არ იქნება, თუ ბრიტანელსაც იგივე დაემართება.

**ბაჩა ლომაძვილი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი
ტურინი. იტალია.
30 სექტემბერი – 8 ოქტომბერი

TORINO Mondiale Scherma 2006



AFP ტურინიდან

პეტერ იოპიხი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია

# ჩხვლეტა რაპირით

**იტალიელ** რაპირისტ ანდრეა ბალდინის ტიტულები ნამდვილად არ აკლია, მაგრამ ტურინში, მშობლიური პუბლიკის თვალწინ მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლის მოპოვებას სხვა ფასი ექნებოდა. ბალდინის საამისოდ ცდა არ დაუკლია — მეოთხედფინალში დაძაბულ ბრძოლაში 15:13 მოუგო ჩინელ ლიანგ ჟანგს, მერე ასეთივე ანგარიშით მეორე იტალიელს სტეფანო ბარერას სძლია და გადამწყვეტ შეხვედრაში გერმანელ პეტერ იოპიხს დაუპირისპირდა, რომელმაც, თავის მხრივ, ნახევარფინალში კიდევ ერთ ჩინელს შენგ ლეის 15:10 აჯობა.

ფინალური ორთაბრძოლა თავიდან გერმანელის უპირატესობით დაიწყო და ერთი ხანობა იოპიხი ხუთი ჩხვლეტითაც კი იყო წინ, მაგრამ ბალდინის ძალიან უნდოდა ოქრო და ტრიბუნების ქომაგობით გულმოცემულმა ანგარიში 14:14 გახადა. ჩემპიონობისთვის ერთი ჩხვლეტალა იყო საჭირო, მაგრამ იტალიელთა სამწუხაროდ, ეს ჩხვლეტა იოპიხმა განახორციელა და კარიერაში მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა.

ქალთა დაშნის უნგრელი ოსტატი ტიმეა ნაგი კი პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ნაგი ახალბედა არ გახლავთ და უფრო ფასეული, ოლიმპიური ოქროს მფლობელიც კი არის, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამარჯვებას აქამდე ვერაფრით ახერხებდა და ახლა ეს ნავსიც გატეხა — მეოთხედფინალში რუმინელი ანა ბრაზმა 15:11 დაჩაგრა, ნახევარფინალში ფრანგ ლაურა ფლესელ-კოლოვიჩს 15:12 მოუგო და ფინალში დაშნის წვერზე ესტონელი ირინა ემბრიხი წამოაგო — 15:11.

**დაშნა. ქალები. პირადი**
1. ტიმეა ნაგი (უნგრეთი)
2. ირინა ემბრიხი (ესტონეთი)
3. ლაურა ფლესელი (საფრანგეთი)
3. ემეში ჟაჟი (უნგრეთი)

**რაპირა. კაცები. პირადი**
1. პეტერ იოპიხი (გერმანია)
2. ანდრეა ბალდინი (იტალია)
3. სტეფანო ბარერა (იტალია)
3. შენგ ლეი (ჩინეთი)



# რენოში არეულობაა ალონსო ცუდად მიდის

Formula 1

**სატურნირო** ვითარების გაუარესებასთან ერთად, მსოფლიოს ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს თავის გუნდშიც აერია საქმეები.

ნანდო დარწმუნებულია, რომ რადგან გაისად „მაკლარენში“ გადადის, მიმდინარე სეზონში მისი საპირველადგილო ამბავი „რენოს“ ფეხებზე ჰკიდია და აქცენტი გუნდური ტიტულის მოპოვებაზე გადაიტანა.

დაგვეთანხმებით, დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ ალონსო თავისაზე დგას: „რენოს არ უნდა, რომ მე „მაკლარენში“ ორგზის ჩემპიონად წავიდე. მათ ხელსაც აძლევდათ, რომ მე და ფიზიკელა ჩინეთში მეორე-მესამე ადგილებზე გავსულიყავით, რითაც კონსტრუქტორთა თასზე ლიდერობა დაიბრუნეს, პირადად ჩემი ტიტული კი სულაც არ ანაღვლებთ და სათანადოდ არც მეხმარებიან. გუნდური პირველობა მათთვის ბევრად მნიშვნელოვანია. ჩინეთში შუმახერთან ჩემი წაგებით „რენოს“ მხოლოდ რამდენიმე წევრი იყო განაწყენებული, უმეტესობა კი იმას ხარობდა, რომ „ფერარის“ გუნდური ლიდერობა ჩამოვართვით. არადა, ჩვენი მექანიკოსების შეცდომა რომ არა, როცა პიტსტოპზე საბურავები არასწორად შემირჩიეს, შანხაიში მე გავიმარჯვებდი.“




ნანდოს ესპანური პრესაც კვერს უკრავს: „სწორედ „რენომ“ წაართვა ალონსოს ჩინეთში მოგება. შეიძლება, მას მტრები თავის გუნდშიც ჰყავს.“

„რენოსა“ და „მიშლენის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად აღიარა სასაბურავო შეცდომა, თუმც შიდაგუნდურ უთანხმოებას უარყოფენ და იაპონიასა და ბრაზილიაში დასკვნითი ორი ეტაპის წინ ოპტიმისტურად არიან, ჩინეთში რბოლისას ჩვენი ბოლიდები ისეთი სწრაფი იყო, რომ ეს რეალური საჩემპიონო შანსის მანიშნებელია და ორივე ტიტულის მოპოვების იმედიც გვაქვსო.

ბოლოს იმაზეც, რომ ბრიტანელმა ბუქმეიკერებმაც ირწმუნებს რენო-ალონსოს ჩქაროსნულობა და ესპანელ პილოტს საჩემპიონო კოეფიციენტი აუმაღლეს — 2,2 (ჩინეთში რბოლის წინ 2,6 იყო), ფავორიტი კი მაინც მიხაელ შუმახერია — 1,61.

**გია ახალაძე**

# ლოებს პენსიონერი შეცვლის

WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP

**მერალეთა** მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ ეტაპზე, რომელსაც 13-15 ოქტომბერს თურქეთი უმასპინძლებს, ხელმოტეხილ სებასტიენ ლოებს სამი წლის წინ პენსიაზე გასული კოლინ მაკრეი შეცვლის.

შეგახსენებთ, რომ სები გასულ კვირას შვეიცარიის მთებში ვარჯიშისას ველოსიპედიდან გადმოვარდა და მარჯვენა ხელი მოიტეხა: „ტყიან ფერდობზე დაშვებისას წინა ბორბლით ქვას დავეტაკე, საჭეს გადავაფრინდი და მიწაზე მხრით დაცემულმა ხელი მოვიტეხე. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა.“

ლოები ოპერაციის შემდეგ თავს კარგად კი გრძნობს, მაგრამ, ცხადია, თურქეთის გამოტოვება მოუწევს და იქნებ ვერც თვის ბოლოს ავსტრალიაში შეძლოს გაჯირითება.

„სიტროენის“ ხელმძღვანელობამ დასახმარებლად 38 წლის შოტლანდიელს უხმო. 1995 წლის გვირგვინოსანი მაკრეი მშვენივრად იცნობს „სიტროენ-ქსარას“, სწორედ ლოებთან და ესპანელ კარლოს საინსთან ერთად დაქროდა ამ მანქანით 2003 წელს.

თურქეთში კი იქნებ ისე მოხდეს, რომ ლოებმა დაუსწრებლადაც გაინაღდოს ზედიზედ მესამე ტიტული, თუ მისი ერთადერთი კონკურენტი მარკუს გრონჰოლმი პოდიუმზე ვერ შედგება.

აი, გუნდურ ბრძოლაში კი მაკრეის ოსტატობა და გამოცდილება „სიტროენს“ ძალიანაც დაეხმარება „ფორდთან“ ჭიდილში — ფრანგული საჯინიბო მხოლოდ შვიდი ქულით უსწრებს მეტოქეს.

**გია ახალაძე**



კოლინ მაკრეი





# ბრძოლა და ზავი

**ვლადიმირ კრამნიკმა** და ვესელინ ტოპალოვმა მეშვიდე პარტია დიდი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დაასრულეს. ანგარიში 4:3-ია კრამნიკის სასარგებლოდ და წინ კიდევ ხუთი პარტიაა დარჩენილი.

თამაშის დაწყებამდე ვლადიმირმა კიდევ ერთხელ მოითხოვა მეხუთე პარტიის გადათამაშება, რომელზეც არ გამოცხადდა და წაგება ჩაუთვალეს. ორგანიზატორებმა კვლავაც უსაფუძვლოდ ცნეს მოჭადრაკის საჩივარი და ანგარიში უცვლელად დატოვეს. ასე რომ, კრამნიკი საჭადრაკო დაფას ნირწამხდარი მიუჯდა.

პარტია ტოპალოვმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო. კრამნიკი თავიდანვე გააქტიურდა, მსუბუქი ფიგურები ცენტრში გამოუშვა და თეთრებს დაეტაკა. ბულგარელმა მეტოქეს შეტევით უპასუხა, რამდენიმე ფიგურა გაუცვალა, თამაში დააწყნარა და პოზიციის განვითარებას შეუდგა. მე-20 სვლაზე კრამნიკმა c ზოლზე ლაზიერ-ეტლის წყვილი გაამაგრა, გვერდით მსუბუქი ფიგურები ამოუყენა და მეტოქის ფლანგისკენ მიმართა. ტოპალოვმა შავებს დიდი ძალები დაახვედრა, თუმც სტრატეგიულად ვერ აჯობა და 37-ე სვლაზე ხარისხი დაკარგა. წინ გასული კრამნიკი კიდე უფრო გააქტიურდა, შეტევები გააძლიერა და 42-ზე მეორე პაიკი მოახრჩო. 47-ე სვლაზე რუსმა a ხაზზე მდგარი პაიკი დაძრა ჩასათვლელი ხაზისკენ. ტოპალოვმა მოიერიშე პაიკს ეტლი დაუპირისპირა და პარალელურად ხელმწიფის ფლანგიდან საკუთარი პაიკები დაქოქა. ორმხრივ იერიშებში ვერც ერთმა ვერ იმარჯვა და მე-60 სვლაზე ზავი გამოცხადდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა






# მოქარგული მცხეთის ზეცა



**საჰაერო** ბურთებით ფრენა ფათერაკებსაც გულისხმობს. აი, მცხეთაში გუშინ დაწყებული საქართველოს ღია ჩემპიონატის მონაწილე იაპონელთა ფათერაკიანი თავგადასავალი კი მოსკოვში დაიწყო.

— ჩვენ ავიაბილეთი ტოკიო-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით ავიღეთ — გვიამბობენ იაპონელები — მაგრამ რუსეთის დედაქალაქში ჩასულებმა რომ გავიკითხეთ, საქართველოში მომავალ თვითმფრინავში სად უნდა ჩავმსხდარიყავით, ისეთი პასუხი გვითხრეს, გულზე შემოგვეყარა, მაგრამ ბედად, რუს ჰაერნაოსნებს გადავეყარეთ, რომლებიც ჩვენს დღეში ჩავარდნილიყვნენ. მოგვკიდეს ხელი და ერევანში გადაგვაფრინეს. ერევანი სად იყო, წარმოდგენა არ გვქონდა, არც ის ვიცოდით, იქიდან თბილისამდე როგორ უნდა მიგვეღწია...

ასე იყო თუ ისე, ერევანში ჩაფრენილ რუსებსაც და იაპონელებსაც ქართველებმა ჩარტერული რეისი დაახვედრეს, თბილისშიც მშვიდობით ჩამოიყვანეს და მცხეთაშიც მიიყვანეს, სადაც გუშინ ჩემპიონატის საზეიმო გახსნა და საჰაერო ბურთების ულამაზესი აღლუმიც მოეწყო.

ჩვენთვის ამ ისტორიული ჩემპიონატის მონაწილეებს ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი რევაზ უთურგაური მიესალმა, რომელიც თავადაც შეჯიბრების მონაწილეა.

ხევსურულქუდიანმა უთურგაურმა დამტვრეული ქართულით და რუსული აქცენტით საზოგადოებას მოუბოდიშა, რაკი ჩვენი შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ენა ინგლისურია, უცხოელ სტუმრებს მეც ინგლისურად მივესალმებიო...

იმ უცხოელებში კი არიან ბრიტანელებიც, ჩეხებიც, უკრაინელებიც, ის შეშინებული იაპონელებიც, მათი მხსნელი რუსები და, რაღა თქმა უნდა, მასპინძლებიც. რატომღაც არ გამოჩნდნენ არაბთა გაერთიანებული საამიროების ბალონისტები, რომლებსაც ელოდნენ, ჩამოსულები კი გუშინ თავიანთი ბურთებით ცაში აფრინდნენ, იქაურობა საახალწლო ნაძვის ხის ნაირფერი ნათურებივით მოხატეს და ბოლოს სადღაც გაუჩინარდნენ.

დღეს კი ნამდვილი შეჯიბრება დაიწყება, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონ-რეკორდსმენებიც მონაწილეობენ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**







სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge